პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, თბილისის კომიტეტისა და საქართველოს სსრ მშრომელთა დეპუტატების საბჭოების ორგანო

КОМУНИСТИ— ОРГАН ЦК и ТК КП ГРУЗИИ и СОВЕТОВ ДЕПУТАТОВ ТРУДЯЩИХСЯ ГРУЗИНСКОЙ ССР

№ 188 (11494)
პარასკევი
14
აგვისტო
1959 წ.

ფასი 20 კაპ.

დღეს ნომერში:

ვალენტინა გაგანოვას მაგალითით (1-ლი გვერდი).
შვიდწლედის ადამიანები.—ბ. ჩხაიძე.—ვაშა შენს საქმეს, გმირო ქალო!; მ. ბარამიძე — ასეა ყოველდღე; 140.000 ტონა ჩაისათვის (1-ლი გვერდი).
პარტიული კონტროლი — შვიდწლედისათვის ბრძოლის მძლავრი იარაღი — პ. ჭიოკაძე. — ეს მხოლოდ პირველი ნაბიჯებია (მე-2 გვერდი).
ა. დარახველიძე. — მასების დიდი შემოქმედება (მე-2 გვერდი).
შ. ჭოჭუა. — ეს ხომ აშკარა დანაშაულია (მე-2 გვერდი).
გ. ნოდია. — შეუწყნარებელი ტემპი (მე-3 გვერდი).
ს. მთვარაძე. —ვაჟკაცთა სანავარდო (მე-3 გვერდი).
შეხვედრის წინ (მე-3 გვერდი).
ვ. გაბელია. — ძლიერების, სიჭაბუკის ზეიმი (მე-4 გვერდი).
უცხოეთისა და ადგილობრივი ინფორმაციები (მე-4 გვერდი).

ვალენტინა გაგანოვას მაგალითით

ჩვენთან ყველა მოწინავე იქნება!— აცხადებენ გორელი ფეიქრები

★ ★

ელენე გეგელაშვილის ბრიგადამ ივლისის საწარმოო გეგმა შეასრულა 111 პროცენტით

109 პროცენტი — ასეთია ივლისში დუშა ხარიძის ბრიგადის მაჩვენებელი

საქსოვი ფაბრიკის ბრიგადირები დარიკო მაზმიშვილი და თამარ მამუკაშვილი სამუშაოდ გადავიდნენ ჩამორჩენილ ბრიგადებში

პარტიის XXI ყრილობის შემდეგ გორის ბამბეულის კომბინატში გამოვლინდა ბევრი საწარმოო რეზერვი; რომელთა შესწავლის საფუძველზე ფეიქრებმა იკისრეს შვიდწლიანი გეგმის ექვს წელიწადში შესრულება.

კომბინატის კოლექტივი დაუცხრომლად ზრუნავს წარმოების შემდგომი ტექნიკური პროგრესისათვის, პროდუქციის თვითღირებულების შემცირებისათვის. საქსოვი ფაბრიკის მოსამზადებელ საამქროში სახამებელი მანქანების მომსახურება პრიმიტიული იყო, სახამებელს ხელით აწვდიდნენ, ამასთან ძნელი იყო სახამებლის ტემპერატურის განსაზღვრა, ქსელის ნართის სინესტის რეგულირება. ამიტომ დაბალი იყო შრომის ნაყოფიერება, ქსელის ნართის ხარისხი. წარმოების ნოვატორებმა დააყენეს სახამებლის სახარშავი განყოფილების რეკონსტრუქციის საკითხი. მისაბაძი ინიციატივა გამოიჩინა ინჟინერმა ა. ქარსანიშვილმა, რომლის პროექტის მიხედვით მოხდა ამ განყოფილების მთლიანი რეკონსტრუქცია.

კომბინატის მუშაობის „ვიწრო ადგილს" წარმოადგენდა გამოშვებული პროდუქციის ხარისხი. აქვე უნდა დავძინოთ, რომ ამ საქმეში ჯერ კიდევ ბევრი ნაკლი გვაქვს. ახალგაზრდა ნოვატორმა კ. გარიცკაიამ შეიმუშავა სპეციალური ქიმიური ხსნარი, რომელიც ხამ ქსოვილს ზეთიან ლაქებს აცლის. ამ წინადადების დანერგვის შედეგად გამომყვან ფაბრიკაში საგრძნობლად შემცირდა მზა ნაწარმის წუნი. მარტო ეს რაციონალიზატორული წინადადება წელიწადში 160 ათასი მანეთის ეკონომიას იძლევა.

საყურადღებოა სართავი ფაბრიკის გამგის ს. მაკრახიძის რაციონალიზატორული წინადადება. მან გააუმჯობესა ბამბის შემრევ-მკვებავ მანქანებზე გამთანაბრებელი დოლი, რის შედეგად ამაღლდა ხარისხი, შემცირდა ნართის უთანასწორობა და წყვეტიანობა, ამაღლდა მანქანის წარმადობა.

კომუნისტმა მ. გეორქიანმა და კომკავშირელმა ი. რომანოვმა საფთილე მანქანის კბილანის გაუმჯობესებით 20 პროცენტით შეამცირეს მანქანის მოცდენა მიმდინარე რემონტის დროს. სავგულისხმოა აგრეთვე ზ. ონიაშვილის, ა. ნონიკაშვილის, ხ. ბეგლაროვის, ვ. თოფჩიშვილის, ი. ბაშაურის, ა. კაპანაძის რაციონალიზატორული წინადადებები, რომელთა დანერგვის შედეგად კომბინატი წელიწადში 300 ათას მანეთს დაზოგავს.

მთავარი მექანიკოსის განყოფილების რაციონალიზატორ-გამომგონებლებმა კომბინატის მრავალტირაჟიანი გაზეთის „გორელი ფეიქარის" საშუალებით მიმართეს ყველა მუშას, ინჟინერ-ტექნიკოსსა და მოსამსახურეს გაჩაღონ შეჯიბრება რაციონალიზატორთა საუკეთესო კოლექტივის სახელის მოპოვებისათვის.

— განყოფილებაში მომუშავე 240 კაციდან 35 რაციონალიზატორია, — წერენ ისინი, — ანუ ყოველი 8 მომუშავიდან ერთი კაცი ტექნიკურ სიახლეზე მუშაობს. განვლილ ექვს თვეში შევიტანეთ 65 წინადადება, რომელთა დანერგვის შედეგად კომბინატი ყოველწლიურად მიიღებს 505 ათას მანეთ ეკონომიას. მივაღწევთ იმას, რომ განყოფილებაში ყოველი 5 მომუშავიდან ერთი რაციონალიზატორი იყოს.

კომბინატის მთავარი მექანიკოსის განყოფილების რაციონალიზატორებისა და გამომგონებლების ამ წამოწყებას მთელმა კოლექტივმა დაუჭირა მხარი.

ამ დღეებში გამომყვან ფაბრიკაში საექსპლოატაციოდ გადაეცემა ორი საჩითავი მანქანა. ეს საშუალებას მოგვცემს საამქრო გადავიყვანოთ ერთცვლიან მუშაობაზე.

ტექნიკური პროგრესის დარგში კონკრეტულ ღონისძიებათა განხორციელებით გორელმა ფეიქრებმა მნიშვნელოვან წარმატებებს მიაღწიეს, კომბინატმა 7 თვის საწარმოო გეგმა 106,2 პროცენტით შეასრულა და გეგმის გადამეტებით სამშობლოს მისცა 6.360 ათასი მანეთის პროდუქცია. ამაღლდა პროდუქციის ხარისხი. გაიზარდა შრომის ნაყოფიერება. შვიდწლედის ფონდში შეტანილია 700 ათასი მანეთი.

გაზეთ „კომუნისტის" მკითხველებისათვის ცნობილია სახელოვანი ფეიქრის ვალენტინა გაგანოვას გორელი მიმდევრების ელენე გეგელაშვილისა და დუშა ხარიძის თაოსნობის ამბავი. მათი სახელები გასცდა გორის ბამბეულის კომბინატის ფარგლებს. ე. გეგელაშვილისა და დ. ხარიძის ბრიგადები, რომლებიც წინათ დავალებას ვერ ასრულებდნენ და სადაც ეს ნოვატორები ცოტა ხნის წინათ მოვიდნენ, ახლა გეგმის გადამეტებით იძლევიან პროდუქციას, ყოველდღიურად წინ მიდიან, გამართულად მუშაობენ. მაგალითად, გეგელაშვილის ბრიგადამ ახლებურად მუშაობის პირველი თვის — ივლისის საწარმოო გეგმა შეასრულა 111 პროცენტით, ხოლო ხარიძის ბრიგადამ — 109 პროცენტით.

რით აღწევენ ისინი წარმატებებს? სწორად ანაწილებენ ბრიგადის წევრებს შორის დავალებებს, კარგად უვლიან მანქანებს; რაც მთავარია, მათ მიაღწიეს „მოსეირნე" თითისტრების მინიმუმამდე შემცირებას და დანერგეს თითისტრების გაუჩერებლად ნართის ჩაბმის მეთოდი.

აგვისტოში ამ შრომისმოყვარე ქალების ბრიგადები კიდევ უფრო აძლიერებენ მუშაობის ტემპს. მათ ბრიგადებში ახლა მოწინავენი არიან ს. ჩოჩიშვილი, გ. იაკოვლევა, ს. საროიანი, პ. პილიევა და სხვები.

კომბინატში ყოველდღე იზრდება ვ. გაგანოვას მიმდევართა რიგები. საქსოვი ფაბრიკის ბრიგადირები დარიკო მაზმიშვილი და თამარ მამუკაშვილი თავიანთი სურვილით გადავიდნენ მხვეველთა ჩამორჩენილ ბრიგადებში. ისინი მონდომებით შეუდგნენ საქმეს. მათი მუშაობის ყოველდღიური მაჩვენებლები იმაზე მეტყველებს, რომ ეს ბრიგადები მალე დაწინაურდებიან. ჩამორჩენილ უბნებში სამუშაოდ გადავიდნენ აგრეთვე გიორგი ფირცხალავა, ირაკლი მანძიკაშვილი და სხვა მოწინავე ფეიქრები.

გორის ბამბეულის კომბინატის მთელი კოლექტივი ენერგიულად შრომობს იმისათვის, რომ საწარმოში არ იყოს არცერთი ჩამორჩენილი ცვლა, კომპლექტი, ბრიგადა და ცალკეული მუშა, მიღწეულ იქნას საერთო აღმავლობა, რომ ტექნიკური პროგრესის საფუძველზე ახალ სასახელო მაჩვენებლებს მიაღწიონ შვიდწლედის ვადაზე ადრე შესრულებისათვის ბრძოლაში.

„კომუნისტის" საგუშაგო გორის ბამბეულის კომბინატში: **დ. ბედოშვილი** — კომბინატის პარტბიუროს მდივანი, მრავალტირაჟიანი გაზეთის „გორელი ფეიქარის" რედაქტორი; **ა. ანდღულაძე** — საქსოვი ფაბრიკის მოსამზადებელი განყოფილების უფროსი; **ი. კობერიძე** — ოსტატის თანაშემწე; **ბ. მარღიშვილი, ბ. ცერცვაძე** — ინჟინრები.

შრომისმოყვარე, თავაზიანი, ენერგიული — ასე იცნობენ გორის ბამბეულის კომბინატში ახალგაზრდა მრთველ რაია იასტრებოვას. იგი 1957 წლიდან მუშაობს კომბინატში და ყოველთვის მოწინავეთა რიგებშია, ყოველთვიურ გეგმებს 120-125 პროცენტით ასრულებს. ნოვატორი ქალიშვილი თავის გამოცდილებას უზიარებს ახალმოსულებს, ჩამორჩენილებს ეხმარება სიძნელეთა დაძლევაში.

სურათზე: რ. იასტრებოვა.
ფოტო ა. ტაბატაძისა.

★

გაგანოველი ბრიგადირის პირველი წარმატება

როცა ჩვენი დიადი სამშობლოს ყველა კუთხეს ელვის სისწრაფით მოედო ვალენტინა გაგანოვას თაოსნობის ამბავი, წითელწყაროს რაიონის სოფელ არბოშიკის კალინინის სახელობის კოლმეურნეობის წევრმა ვ. ჯინიშვილმა უყოყმანოდ გადაწყვიტა წასულიყო ჩამორჩენილ ბრიგადაში.

ვ. ჯინაშვილი ორ წელზე მეტხანს ხელმძღვანელობდა ამავე კოლმეურნეობის მეფრინველეობის № 6 ბრიგადას და ყოველთვის წარმატებას აღწევდა. ახლაც, შვიდწლედის პირველი წლის პირველ ექვს თვეში, ამ ბრიგადაში თვითეულ კვერცხისმდებელ დედალზე 76,4 კვერცხი მიიღეს და ნახევარი წლის გეგმა 110 პროცენტით შეასრულეს. კოლმეურნეობის მოწინავე ფერმაში მხოლოდ პირველი ბრიგადა ჩამორჩებოდა.

კოლმეურნეობის პარტიულმა ორგანიზაციამ და გამგეობამ ერთსულოვნად დაუჭირეს მხარი ჯინაშვილის პატრიოტულ წინადადებას და იგი № 1 ბრიგადაში გადაიყვანეს.

ახალ ბრიგადაში მისვლისთანავე ჯინაშვილმა გულდასმით შეისწავლა ჩამორჩენის მიზეზები. აღმოჩნდა, რომ ბრიგადაში შრომის ორგანიზაცია და დისციპლინა მოიკოჭლებდა. გარდა ამისა, აქ არასოდეს არ სწავლობდნენ და თავიანთ წარმოებაში არ ნერგავდნენ მოწინავე მეფრინველეთა გამოცდილებას.

ბრიგადაში ახლებურად მუშაობის პირველ ხანებში ყოველდღიური კვერცხმდებლობა გაიზარდა.

ჩამორჩენილი ბრიგადა უნარიანი ხელმძღვანელის ხელში მოწინავე ხდება.

გ. გოჩიტაშვილი.

შვიდწლედის ადამიანები

სკკპ ცენტრალური კომიტეტის მომავალი პლენუმის შესახვედრად

ვაშა შენს საქმეს, გმირო ქალო!

ჩაის პლანტაციებში ღამით დაფრქვეულ ცვარს მზის სხივები ვერცხლისფრად აბრჭყვიალებდა. ჭილობის ქუდიანი მკრეფავები ბუჩქებზე დახრილიყვნენ. წელზე კალათა მიემაგრებინათ. ისე სწრაფად კრეფდნენ ფოთოლს ორივე ხელით, რომ მნახველები გაოცებაში მოჰყავდათ.

მახარაძის რაიონის სოფელ შრომის ორჯონიკიძის სახელობის კოლმეურნეობის აბიბინებულ პლანტაციაში ნაყოფიერად მუშაობს სოციალისტური შრომის გმირი, სახელმოხვეჭილი მეჩაიე ტატიანა ჩხაიძე.

— ნამდვილი გმირია ჩვენი ტატიანა, რასაც იტყვის, შეასრულებს კიდეც — ამბობენ სოფელ შრომის კოლმეურნეობის წევრები.

ტ. ჩხაიძე ყოველწლიურად ზრდის ჩაის მოსავლიანობას. შარშან ცოტა შრომა როდი დასჭირდა ჩაის უხვი მოსავლის მისაღებად. თვალს ვერ მოაშორებთ, როცა გამალებით კრეფს ფოთოლს. კრეფას ჯერ მწკრივის ერთი მხრიდან ამთავრებს, შემდეგ მწკრივის მეორე მხრიდან იწყებს. კარგი მოვლის შედეგად ისე გაზრდილა ბუჩქები, რომ მარტო ერთი მხრიდან ფოთლის კრეფა თითქმის შეუძლებელია. ტატიანა კი ამაშიც იჩენს ოსტატობას.

კრეფის სეზონი დამთავრდა. კოლმეურნეობის კანტორაში ანგარიშწარმოების მუშაკები აჯამებდნენ მუშაობის შედეგებს, ადგენდნენ სიებს, ვის რამდენი კილოგრამი ჩაის ნედლეული ჰქონდა მოკრეფილი.

ჰექტარზე გადაყვანით 14 ათასი კილოგრამი ჩაი — ეს ციფრი ჩაიწერა ტატიანა ჩხაიძის წიგნაკში. პირველად გაუკვირდათ კიდეც. მაგრამ აქ საკვირველი არაფერი იყო. თავდადებულმა შრომამ თავისი ნაყოფი გამოიღო.

სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის მიღწევათა გამოფენის სტენდებზე სხვებთან ერთად საპატიო ადგილას ნახავთ საკოლმეურნეო შრომის ნოვატორის, სოციალისტური შრომის გმირის ტატიანა ჩხაიძის ფოტოსურათს.

ახლა, შვიდწლედის ამ პირველი ზაფხულის დღეებში, ტატიანა ჩხაიძე და მისი რგოლის წევრები — ნინო გოგოძე, შურა კუბუსიძე, თინა თამაზაშვილი, თინა და მარგალიტა ჩხაიძეები, ცისანა კალანდაძე, სულიკო ხომერიკი, ლოლა ჭკუასელი ადრე დილიდანვე პლანტაციებში არიან და გვიან საღამომდე კრეფენ უხვად შემოსულ ფოთოლს.

რგოლმა ვალდებულება აიღო — სეზონში 4 ჰექტარ ფართობზე მოკრიფოს 48 ტონა ფოთოლი ნაცვლად 35 ტონისა. ვალდებულება უკვე განაღდებულია. პირადად ტ. ჩხაიძემ მოსავლელად მიჩენილ ნახევარ ჰექტარ ფართობზე 8 ათასი კილოგრამი ჩაის ფოთოლი მოკრიფა.

ასეთი მოსავალი იშვიათია ჩვენს რესპუბლიკაში. ტატიანამ პირობა დადო პლანტაციებს ისე მოუაროს, რომ სეზონში მიიღოს სულ მცირე 12 ათასი კილოგრამი ჩაის ფოთოლი. საკოლმეურნეო შრომის ნოვატორი სიტყვას არ გასტეხს. იგი იმ ადამიანთა რიცხვს ეკუთვნის, რომლებიც მთელ თავიანთ ცოდნასა და გამოცდილებას შვიდწლედის დავალებათა სასახელოდ შესრულებისათვის წარმართავენ.

ბ. ჩხაიძე.

ასეა ყოველდღე

— შინ ჩვეულებრივ გვიან დავბრუნდი, გოდორი და კალათი აივანზე დავდე, ჭიდან წყალი ამოვიღე, ხელპირი დავიბანე და ოთახში შევედი. ხელში ავიღე „კომუნისტის" ახალი ნომერი, რომელშიც დაბეჭდილი იყო საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტისა და მინისტრთა საბჭოს მიმართვა ჩვენი რესპუბლიკის მეჩაიეებისადმი. ამან ჩემი ყურადღება მიიპყრო. დავფიქრდი... — მართლაც დადგა ჩაისათვის ბრძოლის გადამწყვეტი დღეები, — გვითხრა სახელგანთქმულმა მეჩაიემ ცისანა ქანთარიამ.

სიტყვაძუნწია ჩვენი ცისანა, მაგრამ მისი საქმეები ბევრ რამეზე მეტყველებენ. ორი წლის წინათ 0,5 ჰექტარ ჩაის პლანტაციაში მოკრიფა 3.800 კილოგრამი ჩაი, შარშან კი — 4.800 კილოგრამი.

აბა წელს ამ მაჩვენებლებზე ხომ არ შეჩერდება. სურვილი გამოთქვა მოკრიფოს და სახელმწიფოს ჩააბაროს ხუთი ტონა ხარისხოვანი ჩაის ფოთოლი ნაცვლად გეგმით გათვალისწინებული 2,7 ტონისა. დღემდე უკვე მოკრეფილი აქვს 3 ტონაზე მეტი ჩაი.

ცისანა ქანთარია მეოთხე კლასში სწავლობდა, როცა ჩაის კრეფას შეუდგა. ყოველდღიურად ზრდიდა შრომის ნაყოფიერებას. ხან ელენე ქანთარიას გვერდით კრეფდა ჩაის, იცოდა, რომ იგი ჩაის კრეფის ნოვატორი იყო, ხან ელენე კუკულავასთან შრომობდა, აკვირდებოდა, როგორ მანქანასავით მუშაობდნენ, როგორ წამდაუწუმ ცლიდნენ ჩაით სავსე კალათებს. რამდენჯერ უთქვამს ცისანას, რა ბედნიერი ვიქნები, მეც რომ დამხატონ გაზეთშიო.

და ამასაც მიაღწია, არა მარტო პატარა ინფორმაცია, არამედ ნარკვევიც, ფოტოსურათიც კი გამოქვეყნდა რაიონულ გაზეთ „სოციალისტურ შრომაში", რესპუბლიკური გაზეთების მეშვეობით იგი ქვეყანამ გაიცნო.

ცისანა ქანთარია შვიდწლედის ახალი გმირია. ორიოდე წელია, რაც სახელი გაითქვა და კოლმეურნეთა სიყვარული დაიმსახურა.

მისი პლანტაციები სანიმუშოდ არის მოვლილი, სხვებისაგან გამოირჩევა, ბუჩქები ისე დავაჟკაცებულან, რომ ავ თვალს არ ენახება.

— კი მაგრამ შეძლებთ პირობის განაღდებას?

— რატომაც არა! მართალია, ივლისში გვალვები იყო, მაგრამ ბოლოს წვიმა მოვიდა, სასუქი შევიტანე. ახლა უხვად შემოდის ჩაის ფოთოლი. აგვისტო კი მთავარია. თუ მაისში ორ ტონამდე ჩაი მოვკრიფე, აგვისტოში მეტს მოველი.

ცისანა სიტყვის პატრონიაო, — იტყვიან ზემოაკეთლები. ამაში ეჭვი არავის ეპარება. ეს მართლაც ასეა.

მ. ბარამიძე.

140.000 ტონა ჩაისათვის!



შეჯიბრებაში ჩაბმულ რაიონებში

12 აგვისტო

მახარაძე. მეჩაიეობის კოლმეურნეობებმა და საბჭოთა მეურნეობებმა მოკრიფეს 181 ტონა ხარისხოვანი ჩაის ფოთოლი. სულ სეზონის დაწყებიდან მოკრეფილია 21,241 ტონა ჩაი, ანუ შარშანდელზე 551 ტონით მეტი.

ქობულეთი. რაიონში მოკრიფეს 132,6 ტონა ჩაის ნედლეული, სულ სეზონის დაწყებიდან — 13.505,7 ტონა, რაც შარშანდელთან შედარებით 82 ტონით მეტია.

ზუგდიდი. ზუგდიდის რაიონის მეჩაიეებმა მოკრიფეს 152 ტონა ჩაის ფოთოლი. სულ სეზონის დაწყებიდან მოკრეფილია 13.957 ტონა, ანუ შარშანდელზე 1.110 ტონით მეტი.

გალი. რაიონის მეჩაიეებმა მოკრიფეს 94 ტონა ჩაის ნედლეული, სულ სეზონის დაწყებიდან 9.579 ტონა, რაც შარშანდელთან შედარებით 819 ტონით მეტია.

ნახეთ: ეს ჩაისუბნელთა მარჯვენის ნაყოფია

ბათუმიდან ჩაქვისაკენ მიმავალ გზატკეცილს მხარმარჯვნივ სამანქანო გზა გამოეყოფა. ხუთ კილომეტრსაც არ გაივლით ევკალიპტებით, ნაძვების ხეივნით დაფარულ გზაზე, და ქობულეთის რაიონის ჩაისუბნის ლენინის სახელობის კოლმეურნეობაში ხართ.

დალოცვილია ქართველი კაცის მადლიანი სიტყვა. იგი ყოველგვარ სახელს თავის დანიშნულებას აძლევს. მართლაც ძნელია ამ არემარეს, გარდა ჩაისუბნისა, სხვა სახელი უწოდო. თაიგულივით გადაშლილ ჩაის ბუჩქებს დაუფარავს ათეულობით ჰექტარი ფართობი, თვალს ვერ გადააწვდენ პლანტაციებს.

იისფერი განთიადი იდგა სოფელ ჩაისუბანში. კოლმეურნეობის თავმჯდომარე შინ არ დაგვიხვდა.

— დაახლოებით ორი საათი იქნება, რაც სახლიდან გავიდა, — გვითხრა ოჯახის დიასახლისმა, რომელიც ბავშვებს საუზმის თადარიგისათვის ფუსფუსებდა.

სოფლის ცენტრში რამდენიმე ორსართულიანი შენობაა, რომლებიც აქაურობას ქალაქის იერს აძლევს. კლუბი, მაღაზია, ბიბლიოთეკა. მწვანეში ჩაფლული საცხოვრებელი სახლები, როგორც წესი, მხოლოდ ორსართულიანია. ყოველწლიურად ოცამდე ოჯახი იშენებს ახალ სახლებს. აქაურებისათვის ეს ძნელი საქმე არ არის. ოჯახების უმეტესობა კოლმეურნეობისაგან ყოველწლიურად მარტო ფულად ორმოცდაათ ასიათასამდე მანეთს იღებს. შარშან შრომადღეზე 32 მანეთი გაანაწილეს. სოფელი მთლიანად ელექტროფიცირებული და რადიოფიცირებულია.

გზაზე ახოვანი, ცალხელა ვაჟკაცი გამოჩნდა. იგი კოლმეურნეობის თავმჯდომარე ხასან ყურშუბაძეა. მას კარგად იცნობენ აჭარაში, როგორც გამრჯე, ენერგიულ, მხნე, სპეტაკ ადამიანს. იგი ჩვიდმეტი წელია განუწყვეტლივ ხელმძღვანელობს ჩაისუბნის ლენინის სახელობის კოლმეურნეობას. მანამდეც აქვე მუშაობდა, როგორც რიგითი კოლმეურნე, მერგოლური, ბრიგადირი, შემდეგ აგროტექნიკოსი. ჩაისუბნელები ზედიზედ მესამე წელია, რაც მოსკოვში საკავშირო გამოფენის მონაწილენი არიან. კმაყოფილმა და პირმომცინარე ხასანმა თვალი გადაავლო გარემოს და თქვა:

— კოლმეურნეობაში ჩაის პლანტაციებს 98 ჰექტარი უჭირავს. აქედან 92 ჰექტარი სრულმოსავლიანია. შარშან მოვკრიფეთ და სახელმწიფოს ჩავაბარეთ 474 ტონა ჩაის მწვანე ფოთოლი. ჰექტარზე საშუალო მოსავლიანობა შეადგენს 5.275 კილოგრამს. ცალკეულ ნაკვეთებზე ჩვენი მოწინავე მკრეფავები სარეკორდო მაჩვენებლებს აღწევენ.

წელს გეგმით სახელმწიფოს უნდა ჩავაბაროთ 470 ტონა ჩაის ნედლეული, მაგრამ გადაწყვეტილი გვაქვს მოვკრიფოთ არანაკლებ 490 ტონისა. მაის-ივნისში უკვე მოვკრიფეთ 288 ტონა ჩაის ფოთოლი. დაიწყო მეორე ვეგეტაცია. ახლა ყოველდღიურად ჩაქვის ჩაის ფაბრიკას ვაბარებთ დაახლოებით 3-4 ტონა მწვანე ფოთოლს. კოლმეურნეები ფიქრიე ყურშუბაძე, ზექიე ბერიძე, ფატი აბუსერიძე, გული დავითაძე დღეში საშუალოდ 70-80 კილოგრამ ჩაის მწვანე ფოთოლს კრეფენ.

— აი აქეთ, მახლობელი ნაკვეთი ფიქრიე ყურშუბაძეს აქვს მოსავლელად ჩაბარებული! — თქვა და ხასანი იქით გაგვიძღვა.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატი ფიქრიე ყურშუბაძე მთელ ჩვენს რესპუბლიკაშია ცნობილი. იგი მუშაობითაა გართული. ორივე ხელის თითები ელვასავით მოძრაობს ბუჩქის თავზე და ქორფა დუყებით ივსება წელზე მიკრული ათკილოგრამიანი კალათი. ფიქრიემ ამ დღეს 80 კილოგრამი ჩაის მწვანე ფოთოლი მოკრიფა. იყო დღეები, როცა მაისში იგი 130 კილოგრამ ხავერდოვან ჩაის კრეფდა...

ახლა უკვე აჩახჩახდა ნორჩი დუყებით ჩაის ბუჩქი. ფიქრიე ყურშუბაძეც მისთვის ჩვეული ოსტატობით ჩაის სარეკორდო მოსავალს იღებს.

დაილოცოს მისი ბარაქიანი მარჯვენა.

ასეთი სასიხარულო ცხოვრება და შრომაა დამკვიდრებული აჭარის ერთ-ერთ რიგით სოფელში. ლენინის სახელობის კოლმეურნეობის წევრების მიზანსწრაფვაა რაც შეიძლება მეტი ჩაისუბნური ჩაი მისცენ დედასამშობლოს.

ა. ჩხაიძე,
გ. ბახტურიძე.



მათ განსაკუთრებით გამოიჩინეს თავი ჩაის კრეფაში

წალენჯიხა. შუშანა კუხალეიშვილი წარმატებით ანაღდებს ნაკისრ ვალდებულებას. მან მოკრიფა 60 კილოგრამი ჩაის ფოთოლი. სულ მოკრეფილი აქვს 4.800 კილოგრამი ნაცვლად 2.500 კილოგრამისა. **სულიკო სამუშიამ** ამავე კოლმეურნეობაში მოკრიფა 70 კილოგრამი ჩაი, დღიური ნორმა სამმაგად შეასრულა. სულ მოკრიფა 5.500 კილოგრამი ჩაის ნედლეული. **ცუფე კვარაცხელიამ** წალენჯიხის „პირველი მაისის" სახელობის კოლმეურნეობაში მოკრიფა 80 კილოგრამი ჩაი, სულ მოკრეფილი აქვს 5.000 კილოგრამზე მეტი ჩაის ფოთოლი. **ჟენია შელიამ** სოფელ საჩინოს ჟდანოვის სახელობის კოლმეურნეობაში მოკრიფა 55 კილოგრამი ჩაის ფოთოლი, სულ მოკრეფილი აქვს 4.000 კილოგრამი ჩაის ნედლეული.

ქობულეთი. ფათუუნე ბოლქვაძე ჩაის ფოთოლს კრეფს სოფელ კვირიკეს კოლმეურნეობაში. მან მოკრიფა 63 კილოგრამი ჩაი ნაცვლად 30 კილოგრამისა. **ფატიმე ჭყონიამ** მოკრიფა 52 კილოგრამი. **მერი ანანიძემ** სოფელ ლეღვას კოლმეურნეობაში მოკრიფა 62 კილოგრამი ჩაი ნაცვლად 15 კილოგრამისა, ხოლო **რეხიმე ოთიაშვილმა** — 53 კილოგრამი.

ხარისხოვანი ჩაის ფოთლის დამზადების გეგმის შესრულება საქართველოს სს რესპუბლიკაში

1959 წლის 11 აგვისტოსათვის

	გეგმის შესრულება პროცენტობით: წლიური გეგმისა	აგვისტოს გეგმისა		წლიური გეგმისა	აგვისტოს გეგმისა
ქობულეთის რაიონი	76,0	18,1	სამტრედიის	74,7	18,5
ბათუმის	76,5	21,6	წულუკიძის	69,6	17,6
ქედის	73,0	17,4	წყალტუბოს	88,3	24,2
სულ აჭარის ასსრ-ში	76,1	19,9	ტყიბულის	103,9	29,0
გალის რაიონი	86,2	22,0	ცხაკაიას	86,0	20,7
ოჩამჩირის	79,7	19,1	აბაშის	78,4	19,8
სოხუმის	84,8	14,3	გეგეჭკორის	82,3	25,0
გუდაუთის	84,9	7,7	ზუგდიდის	80,6	22,1
სულ აფხაზეთის ასსრ-ში	83,7	19,2	ჩხოროწყუს	82,6	21,6
მახარაძის რაიონი	78,2	21,3	წალენჯიხის	86,8	30,4
ჩოხატაურის	84,4	22,5	ხობის	84,3	14,5
ლანჩხუთის	76,7	20,8	თერჯოლის	80,5	11,6
			ზესტაფონის	100,0	—
			ვანის	72,5	7,7
			ქალ. ქიათურა	151,6	43,8
			ქალ. ფოთი	66,7	—
			სულ საქართველოს სსრ-ში	80,7	21,2

ეროვნული ბიბლიოთეკა

პარტიული კონტროლი — შვიდწლედისათვის ბრძოლის მძლავრი იარაღი

ეს მხოლოდ პირველი ნაგიჯებია

ამჟამად უბანი 40 პროცენტიანზე დაბალი ხარისხის ნედლეულს არ უშვებს

მალაროში იქნება კუმშ ჰაერზე მომუშავე მარგანეცის სატვირთი მანქანები

ელექტროზეინქალმა შ. ბრეგვაძემ დააყენა ელექტრომაგნიტური სეპარატორების მონტაჟის დაჩქარების საკითხი

კლენუმი იწონებს იმ ღონისძიებებს, რომლებიც სკკპ ცენტრალური კომიტეტის პრეზიდიუმმა განახორციელა პარტიული და სახელმწიფო აპარატის როლის ასამაღლებლად, რეგიონებში, ისე ადგილებზე იმისათვის, რომ გაძლიერდეს კონტროლი პარტიისა და მთავრობის გადაწყვეტილებათა შესრულებისადმი სახელმწიფო, პარტიული, სამეურნეო და სხვა ორგანიზაციების ყველა რგოლში, აგრეთვე იმის ღონისძიებებს, რომ გაუმჯობესდეს საწარმოო და საბჭოთა საწარმოების პირველადი პარტიული ორგანიზაციების კონტროლი ადმინისტრაციის საქმიანობისადმი.

სკკპ ცენტრალური კომიტეტის ივნისის პლენუმის დადგენილებიდან.

ჭიათურის სტალინის სახელობის მაღაროს პირველ უბანში უეცრად გაუარესდა მარგანეცის ხარისხი. 40-პროცენტიანის ნაცვლად გამამდიდრებელ ფაბრიკას 37-38-პროცენტიან მადანს აწვდიდნენ. ეს ამბავი შეუმჩნეველი როდი დარჩა პროდუქციის ხარისხის ამაღლების კონტროლის კომისიას, რომელსაც მაღაროს მთავარი გეოლოგი ალ. მაჭავარიანი ხელმძღვანელობს. კომისიის წევრებმა — ტექნიკური კონტროლის განყოფილების უფროსმა დ. მაღრაძემ, მადნის გამამდიდრებელი ფაბრიკის გამგემ, ინჟინერმა გ. გაფრინდაშვილმა, ცვლის უფროსმა ჩ. ნოზაძემ კომისიის თავმჯდომარესთან ამხ. მაჭავარიანთან ერთად უშუალოდ სანგრეგებში საოუძვლიანად შეისწავლეს საქმის ვითარება. გამოირკვა, რომ უბანში მადნის პირველადს გამდიდრებას ნაკლები ყურადღება ექცეოდა, მარგანეცს ფუჭი ქანის მოუშორებლად ტვირთავდნენ. ნაკლები იყო უბნისა და ტექნიკური კონტროლის განყოფილების ხელმძღვანელთა მეთვალყურეობა ამ საქმისადმი. უბანი არაერთგზის ინახულეს აგრეთვე პარტბიუროს მდივანმა გ. ცხადიაშვილმა და მთავარმა ინჟინერ მ. ლ. ჩხაიძემ. მათ სწორად მიიჩნიეს პარტიული კონტროლის კომისიის შენიშვნები და დასკვნა. კომისიამ უბნის ხელმძღვანელობის წინაშე ოპერატიულად დააყენა საკითხი — გაძლიერებულიყო მეთვალყურეობა მადნის პირველადს გამდიდრებაზე. საქმეში აგიტატორებიც ჩაერივნენ. გაძლიერდა საუბრები პროდუქციის ხარისხის ამაღლების აუცილებლობასა და მნიშვნელობაზე. ადგილობრივმა რადიოგადაცემამ მოაწყო კომისიის თავმჯდომარის, მთავარი გეოლოგის ა. მაჭავარიანის საუბარი მადნის პირველადი გამდიდრების მნიშვნელობაზე. განხორციელებულმა ღონისძიებებმა აამაღლა მაღაროელების, უბნის ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობის გრძნობა. მალე გაუმჯობესდა პროდუქციის ხარისხი. ამჟამად უბანი 40-პროცენტიანზე დაბალი ხარისხის ნედლეულს არ უშვებს.

ახალი ტექნიკის დანერგვა, მექანიზმების გონივრულად და სრული დატვირთვით გამოყენება შრომის ნაყოფიერების ზრდის მძლავრი ფაქტორია. სტალინის სახელობის მაღაროში განსაკუთრებით მტკივნეულია მადნის მექანიზებული დატვირთვა. შრომის ნაყოფიერების ზრდისა და თვითღირებულების შემცირების კომისიამ (თავმჯდომარე — მაღაროს შრომის ორგანიზაციის განყოფილების უფროსი ბ. კუპატაძე) მექანიზმების დანერგვისა და მოწყობილობათა მოვლა-პატრონობის კონტროლის კომისიასთან ერთად საფუძვლიანად შეისწავლა ეს საკითხი და მოითხოვა მაღაროში კუმშ ჰაერზე მომუშავე მარგანეცის სატვირთი მანქანების შემოზიდვა და დანერგვა. დირექციამ ეს საქმიანი შენიშვნა გაითვალისწინა და მარგანტრესტის წინაშე დააყენა აღნიშნული კონსტრუქციის მანქანების შემოზიდვის საკითხი.

მადნის გამოსავლის ზრდისა და პირველხარისხოვანი კონცენტრატის გამოშვების გადიდებისათვის დიდი მნიშვნელობა აქვს გამამდიდრებელ ფაბრიკებში ელექტრომაგნიტური სეპარატორების დანერგვა-გამოყენებას. მექანიზმების დანერგვისა და მოწყობილობათა მოვლა-პატრონობის კონტროლის კომისიის წევრმა ელექტროზეინქალმა შ. ბრეგვაძემ დააყენა ელექტრომაგნიტური სეპარატორების მონტაჟის დაჩქარების საკითხი. ეს შენიშვნაც მიღებულია. მადნის გამამდიდრებელ ფაბრიკაში სწრაფად დაიწყეს ოთხი სეპარატორის დადგმა. მონტაჟის ვადას ათი დღით ამცირებენ. სეპარატორები 20 აგვისტოდან ამუშავდება.

მუშაობას შეუდგა მასალებისა და ელექტროენერგიის მომჭირნეობით ხარჯვის კონტროლის კომისიაც, რომელსაც ბუხალტერი ვ. დევეძე ხელმძღვანელობს. კომისიამ დააყენა საკითხი — დაჩქარდეს სტანდარტული ბიგების და სამზადებელი დაზგების მონტაჟი. ეს დაზგები ყოველთვიურად დაზოგავს 50 ათასი მანეთის სამაგრ მასალას, დაჩქარებს მაღაროს გადამაგრებას, შეამსუბუქებს მებიგის შრომას და 30 პროცენტით გაზრდის მის ნაყოფიერებას.

პარტიული კონტროლის კომისიებმა უკვე გადადგეს პირველი ნაბიჯები. ამ კომისიების შექმნასთან დაკავშირებით ამხანაგ ნ. ს. ხრუშჩოვი ამბობდა: „ეს სასარგებლო იქნება საქმისათვის“. უკვე ჩანს, რომ ეს ნამდვილად სასარგებლოა. მაგრამ იმედი უნდა ვიქონიოთ, რომ პარტიული კონტროლის კომისიების მუშაობა შემდგომში უფრო მიზანსწრაფული და შინაარსიანი იქნება.

ჯ. ჰიოკაძე,
„კომუნისტის“ საკ. კორესპონდენტი.



მთელი გულისყურით

ახალი ტექნიკის დანერგვა წარმოებაში ჩვენი ქვეყნის სწრაფი ტემპით განვითარების საწინდარია. რაც მეტი გვექნება ახალი სრულყოფილი ჩარხი და დიდი წარმადობის მანქანა, მით უფრო შემცირდება პროდუქციის თვითღირებულება, ამაღლდება შრომის ნაყოფიერება და ხალხის კეთილდღეობის დონე. დრომოჯმულმა ტექნიკამ დიდი ხანია გზა დაუთმო ახალს, პროგრესულს.

თბილისის საწარმოებში სკკპ ცენტრალური კომიტეტის ივნისის პლენუმის გადაწყვეტილებათა შესაბამისად ფართო ასპარეზი მიეცა ტექნიკურ პროგრესს. მთელ რიგ ქარხნებში იდგმება ახალი უნივერსალური ჩარხები და მანქანები. ამ მხრივ კარგი მაგალითი გვიჩვენა დედაქალაქის სახელი დაზგების ქარხანამ. აქ ეწყობა სამშპინდელიანი ჩარხების საამქრო. ამჟამად დაძაბული მუშაობა მიმდინარეობს ამ საამქროს უნივერსალური ჩარხების დასამონტაჟებლად.

• • •

სურათებზე: ზემოთ — სახელი დაზგების ქარხნის მოწინავე მონტაჟიანი დ. ილურიძე, ვ. თედიაშვილი და ოსტატი რ. ხუციშვილი სამშპინდელიან ჩარხს ამუშავებენ; ქვემოთ — თბილისის კიროვის სახელობის ჩარხსამშენებლო ქარხნის მოწინავე მბურღავი, კომკავშირელი ნ. კისელოვი, რომელიც 250 პროცენტით ასრულებს დღიურ ნორმას.

ფოტო ვ. გინზბურგისა.

ეს ხომ ამკარა დანაშაულია

ქობულეთში ჩაის ფოთოლი უხვად არის, მაგრამ არ კრეფენ

სოფელ აჭყვის კოლმეურნეობა „წითელ ოქტომბერში“ მიმდინარე წლის მაისის, ივნისისა და ივლისის მუშაობის შედეგები, რომ შეაჯამეს, ქობულეთის რაიონში ყველა სიხარულმი მოიცვა — 89,2 ჰექტარი ფართობის თვითეულ ჰექტარზე მიღებული იყო 4.725 კილოგრამი ჩაის ნედლეული. აგვისტოს მეორე ხუთდღიურში ამ ციფრმა 5 ათას კილოგრამამდე გადააჭარბა ჩაის დარგში ასეთი მიღწევა არც ისე ძოლი საქმეა.

აჭყველები სეზონში საშუალოდ ჰექტარზე 7 ათას კილოგრამამდე ჩაის ნედლეულს გვპირდებიან. ეს სარეკორდო მოსავალია.

ამ დღეებში კოლმეურნეობის საერთო კრება იყო. კრებაზე ეცნობოდნენ საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს მოწოდებას ჩვენი რესპუბლიკის ყველა მეჩაიესადმი, რაც გაზეთებში იყო გამოქვეყნებული.

რით შეხვდა ამ კრებას კოლმეურნე ალეშე ციცხლაძე, მერგოლურები ივანე ბურტოფი, მარია პოპანდოპულო და მრავალი სხვა? საშუალოდ ჰექტარზე 7.500 კილოგრამამდე ჩაის ფოთოლი — ეს მათი შრომის შედეგი.

— ხარისხი?

— საუკეთესო.

— ჩვენ ამით არ დაგვმაყოფილდებით, — განაცხადა საუბარში კოლმეურნეობის თავმჯდომარემ, სოციალისტური შრომის გმირმა ხრისტო მერიციდმ, რომელიც 29 წელია უცვლელად მუშაობს აღნიშნულ თანამდებობაზე ამ სოფლის კოლმეურნეობაში. — არ დავჯოგავთ ენერგიას იმისათვის, რომ სეზონის დამთავრებამდე წლიური გეგმის გადამეტებით საშობლოს მივცეთ 100 ტონამდე ხარისხოვანი ჩაი, ხოლო საშუალოდ ჰექტარზე ჩაის მიღებული ფოთლადი შემოსავალი 60 ათას მანეთამდე ავიყვანოთ.

სიტყვის ხალხია სოფელ გვარას ენგელინის სახელობის საბჭოთა მეურნეობის კოლექტივის (დირექტორი ი. ფუთურიძე, პარტბიუროს მდივანი მ. დიდენკო) შრომის ნაყოფი. მესამე და მეხუთე აგროუბნები (ხელმძღვანელები მ. ებანოიძე და შ. ხინიკაძე) უკვე ამ დღეებში შეასრულებენ ფოთლის კრეფის წლიურ გეგმას.

მადლიანი შრომაა გაჩაღებული სოფელ ხუცუბნის ი. ბ. სტალინის სახელობის კოლმეურნეობაში. აქ დიდი და პატარა კრეფს უხვად შემოსული ფოთოლს.

უკანასკნელ ხანს მოსულმა წვიმებმა დიდად შეუწყო ხელი ჩაის ფოთლის ვეგეტაციას. ამას ხუცუბნელი კოლმეურნეები კარგად ითვალისწინებენ. მაგალითად, თუ 2 აგვისტოს მოიკრიფა 1.425 კილოგრამი ჩაის ფოთოლი, 10 აგვისტოს 7 ათას კილოგრამზე მეტი ფოთოლი მოიკრიფა, ამასთან ერთად აღსანიშნავია ნაკლიც, ზოგიერთი კოლმეურნე ზარმაცობს, და ეს გულს უტეხს მოწინავე კოლმეურნეებს. მეოთხე ბრიგადის წევრს ჭ. მოწყობილს უკანასკნელ სამ თვეს კოლმეურნეობაში სულ არ უმუშავნია. კოლმეურნე რ. ჯაფარიძე მეტ დროს ანდომებს საკარმიდამო ფართობზე ჩაის კრეფას. მეორე და მეოთხე ბრიგადის ზოგიერთი ჩაის პლანტაცია (ბრიგადირები ხ. ბლადაძე, ს. ჯინჭარაძე) მოუვლელია, ბალახით დაფარულია, ეს კი ხელს უშლის ფოთლის კეფეტაციას.

ხუცუბნელმა კოლმეურნეებმა (თავმჯდომარე შ. ცეცხლაძე, პარტორგანიზაციის მდივანი ბ. ბაჯელიძე) პირობა დადეს წელს საშობლოს მისცენ 985 ათასი კილოგრამი ჩაის ნედლეული. ეს დიდი ვალდებულებაა. პირობის განადგებაში ხუცუბნელებს თავი არასოდეს არ შეურცხვენიათ და ამჯერადაც უნდა ასახელონ საშობლო.

წარმატებით მუშაობს ბევრი სხვა კოლმეურნეობა და საბჭოთა მეურნეობები. მაგრამ ეს იმას როდი მოწმობს, რომ ყველაფერი კარგადაა. სოფელ ჭახათის კოლმეურნეობის თავმჯდომარეს ი. გოლიაძეს რომ შეეკითხოთ, ჩაის ფოთლის კრეფაში რატომ საამარცხვინოა მორჩენილი, იგი მაშინვე გიპასუხებთ, რა ქნათ, ფოთოლი არ არის შემოსული, მუშახელიც არა გვყოფნისო. მაგრამ სინამდვილეში ასე როდია. აქ ჩაის ფოთოლი ისეა შემოსული, რომ ზოგან მოუკრეფაობის გამო უკვე გაუხმენია. მაგალითად, მეხუთე ბრიგადა სამარცხვინოდ ჩამორჩენილი ფოთლის კრეფაში. მიუხედავად ამისა, აგვისტოს პირველ ხუთდღიურში აქ პლანტაციაზე „დაასვენეს“. დასვენებული ბუჩქებიდან კი მხოლოდ გაუხმენია ფოთოლი მიიღეს. ამით კოლმეურნეობა დიდად აზარალეს. თუმცა ეს ბრიგადირს კომუნისტს ს. რომანაძეს არ აწუხებს.

ჩაის განუწყვეტლივ, ყოველდღიურ კრეფას არც მეორე ბრიგადაში (ბრიგადირი დ. გეგეძე) მიმართავენ. აქ ფოთლის საკრეფად მხოლოდ 6-10 კაცი მუშაობს და დღეში კრეფენ 10-30 კილოგრამ ჩაის. მესამე ბრიგადიდან (ბრიგადირი ა. ქათამაძე) 3 აგვისტოს ფოთლის კრეფაზე მხოლოდ ერთმა კაცმა იმუშავა, 5 აგვისტოს — 3 მეჩაიემ და ხშირად ხდება ასე.

აგვისტო ფოთლის კრეფის წლიური გეგმის შესრულების გადამწყვეტი თვეა. კოლმეურნეობაში კი ჩაის ნედლეულის დამზადების წლიური გეგმა შესრულებულია მხოლოდ 60 პროცენტით. საკვირველია! ჩაის ფოთოლი უხვად არის შემოსული, და არ კრეფენ. კოლმეურნეობის თავმჯდომარე ი. გოლიაძე და პარტორგანიზაციის მდივანი ო. ხახუტაშვილი კი არხეინად, გულდამშვიდებული სხედან კანტორაში. მაგრამ მათი დოყლაპიობით რატომ უნდა დაიკარგოს ასეთელ კილოგრამობით ჩაის ნედლეული, და იმაზოლოს კოლმეურნეობამ? ეფიქრობთ, პარტიის ქობულეთის რაიონული კომიტეტი და რაისაბჭოს აღმასკომი სათანადო ზომებს მიიღებენ.

შვიდწლედის პირველ წელს ქობულეთელმა მეჩაიეებმა სეზონული ვალდებულება იკისრეს. მათი პირობაა საშობლოს მისცენ 18.100 ტონა ჩაის მწვანე ფოთოლი. ქობულეთელ მშრომელებს ჩაის უხვი მოსავლის მიღებაში დიდი გმოაცდილება აქვთ და ახლაც არსებულ ნაკლოვანებათა სწრაფად გამოსწორებით უთუოდ ასახელებენ საშობლოს სიტყვას საქმედ აქცევენ.

შ. ჰიოუა,
„კომუნისტის“ სპეც. კორესპონდენტი.

კომუნიზმის მშენებლობის თეორიული პროგლემები

მასების დიადი შემოქმედება

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XXI ყრილობამ და ცენტრალური კომიტეტის ივნისის პლენუმმა სერიოზული ყურადღება დაუთმეს ხალხის მასების შრომითი შემოქმედების შემდგომი ზრდის საკითხებს და ახალი საბრძოლო ამოცანები დასახეს ამ დარგში.

ჩვენს ქვეყანაში კომუნისტური საზოგადოების გაშლილი მშენებლობის პრაქტიკული ამოცანები მოითხოვენ, რომ კიდევ უფრო მეტად ავამაღლოთ ხალხის მასების შრომითი შემოქმედების დონე და ხელი შევუწყოთ სოციალისტური შეჯიბრების ახალ აღმავლობას, მის მრავალი სახის გამოვლინებასა და განვითარებას.

მარქსიზმ-ლენინიზმის კლასიკოსები ყოველთვის შეურიგებლად ებრძოდნენ მათ, ვინც აბუჩად იგდებდა და თუნდაც ოდნავ ამცირებდა ხალხის მასების შემოქმედების როლს ისტორიაში. მარქსიზმ-ლენინიზმი გვასწავლის, რომ საზოგადოებრივ განვითარებას უნდა განვიხილავდეთ, როგორც ბუნებრივ-ისტორიულ პროცესს, რომელიც ადამიანის ნებისყოფისა და შეგნებისაგან დამოუკიდებლად მიმდინარეობს. ეს პროცესი ემორჩილება საზოგადოებრივი განვითარების ობიექტურ კანონთა მოქმედებას და მისი შეცვლა არ შეიძლება ადამიანთა მიერ.

საზოგადოების განვითარებას ახასიათებს როგორც ობიექტური, ისე სუბიექტური მხარე. საზოგადოების განვითარების ობიექტურ მხარეში შედის: გეოგრაფიული გარემო, მოსახლეობის გარკვეული სიმჭიდროვე და, რაც მთავარი და განმსაზღვრელია, საწარმოო ძალებისა და წარმოებითი ურთიერთობის ერთობლიობა — წარმოების წესი, ურომლისოდაც წარმოუდგენელი და შეუძლებელია მატერიალური დოვლათის წარმოება. წარმოების ესა თუ ის წესი წარმოადგენს ყოველი საზოგადოების განვითარების მთავარ პირობას, მის მთავარ ძალას. საზოგადოების განვითარების სუბიექტურ მხარეს კი შეადგენს ადამიანთა იდეები, მიზნები და მისწრაფებანი, ხალხის მასების დაინტერესებულობა, მობილიზება ხალხის მასების მაღალი საზოგადოებრივი შეგნებულობა, ადამიანთა პრაქტიკულ-საწარმოო მოღვაწეობა, მოკლედ, მასების, კლასის, პარტიისა და მათი ხელმძღვანელების შეგნებული მოღვაწეობა.

კომუნისტური საზოგადოების საბოლოო გამარჯვება ყველა ქვეყნისათვის ისტორიული აუცილებლობაა, მაგრამ ისტორიული აუცილებლობა თავისთავად არასოდეს არ ხორციელდება. ამიტომ კომუნისტური საზოგადოების გამარჯვებისათვის საჭიროა ადამიანთა მეტად აქტიური, ენერგიული და დაძაბული ბრძოლა, რათა ისტორიული აუცილებლობა გადაქცეულ იქნას სინამდვილედ. ამას ნათლად და მკაფიოდ მოწმობს ჩვენი ხალხის თავდადებული შრომისა და ბრძოლის ბრწყინვალე ისტორია.

ჩვენს ქვეყანაში დამკვიდრებულია მეურნეობის სოციალისტური სისტემა, რომელიც ყოველნაირად უწყობს ხელს ჩვენს ხალხს მაქსიმალურად გამოიყენოს ის რეალური ხელსაყრელი პირობები, რაც უზრუნველყოფს კომუნისტური საზოგადოებისათვის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის შექმნას ისტორიულად უმოკლეს დროში.

საბჭოთა ქვეყნის სახელოვანი მუშათა კლასი, კოლმეურნე გლეხობა და ინტელიგენცია სასწაულებს ახდენდნენ და ახდენენ მატერიალური დოვლათის წარმოებაში და სულიერი კულტურის განვითარების საქმეში. ცნობილია, რომ ადამიანები არ შეიძლება ერთი დონისა იყვნენ თავიანთი განვითარებით, მაგრამ ეს სრულებითაც როდი ნიშნავს, რომ მხოლოდ ერთეულებმა აკეთონ საზოგადოებრივი წარმოების განვითარებისა და ადამიანთა ინტელექტუალური ბედნიერებისა. ეს ეს ეს ... ეს ... ეს ...

ეროვნული ბიბლიოთეკა

შეუწყნარებელი ტემპი

როგორ ემზადებით თქვენ ახალი სასწავლო წლისათვის!

გეგეჭკორის რაიონის საბჭოს აღმასკომის განათლების განყოფილებაში ასეთ ცნობას წავაწყდით:

— ახალი სასწავლო წლისათვის მზადება დამთავრებით. მიმდინარე რემონტი გაუკეთდა სკოლის შენობას და სასკოლო ინვენტარს, — იტყობინებოდა ხუნწის სასოფლო საბჭოს ლეცაცხვაიეს საშუალო სკოლის დირექტორი დ. ქადეიშ-რაძე.

განათლების განყოფილებაშიც დაგვიდასტურეს, სკოლა სწავლის დაწყებისათვის ყოველმხრივ მზად არისო. მაგრამ მდგომარეობა ადგილზე რომ შევამოწმეთ, სულ სხვა სურათი გადაგვეშალა. აქ რემონტი არა თუ არ დაუმთავრებიათ, არამედ ჯერაც არ დაუწყიათ, დამტვრეულია ეზოს ჭიშკარი, შესაკეთებელია სკოლის სადარბაზო შესასვლელიც, საკლასო ოთახების არც ერთი კარი მჭიდროდ არ იხურება სახელურების უქონლობის გამო. დერეფნის იატაკი ზოგან დამპალია და გამოცვლას საჭიროებს. არც საკლასო ოთახებია უკეთეს პირობებში. აქ ჩანგრეულ ადგილებში ზოგან ფიცარი ზევიდან დაუკრავთ, ისე რომ ბავშვები ადვილად წამოკრავენ ფეხს. ისეთი დაფები და მერხები შეუღებავთ, რომლის გამოყენება შეუძლებელია, მათი გამოცვლისთვის კი თავი არავის შეუწუხებია.

შარშან გეგეჭკორის ჩაის ფაბრიკამ და ხუნწის კოლმეურნეობამ რაიონის აქტივის კრებაზე პირობა დადეს ლეცაცხვაიეს საშუალო სკოლის შენობისათვის მიეშენებინათ ორი საკლასო ოთახი, აეგოთ შენობა სასწავლო სახელოსნოსათვის, შეეძინათ 40 ცალი მერხი და სხვ. მაგრამ სიტყვას საქმე არ მოჰყოლია, დაპირება დავიწყებას მიეცა.

აბედათის საშუალო სკოლაში (დირექტორი ი. ცანავა) მოსწავლეთა კონტინგენტი ყოველწლიურად იზრდება, სასკოლო შენობა კი მოსწავლეებს ვერ იტევს და ორ ცვლად უხდებათ მუშაობა. სკოლის შენობისათვის აბედათის კოლმეურნეობას (თავმჯდომარე რ. წოწონავა) უნდა მიეშენებინა ექვსი საკლასო ოთახი, მაგრამ მშენებლობა 27 ივლისისათვის დაწყებულიც არ იყო. უფრო მეტიც: აქამდე საშენი მასალების მოზიდვასაც არ შესდგომიან და არსებული შენობის კაპიტალური რემონტიც არ დაწყებულა, ასეთივე მდგომარეობაა სასკოლო ინვენტარის რემონტზეც.

ივლისის ბოლოს რემონტი არ იყო დაწყებული აგრეთვე ბანძის, ლეხაინდრავოს, სერგიეთისა და ნახარებოვის სკოლებში. გეგეჭკორის განათლების განყოფილების ცნობით ახალი სასწავლო წლისათვის მზადების საქმე არადამაკმაყოფილებლად მიმდინარეობს კურზუს საშუალო, დღვანის, ნალეფსაოს შვიდწლიან და სანაჭყაპიოს დაწყებით სკოლებში. დასახელებული სკოლების შენობების კაპიტალური შეკეთება დაკისრებული აქვს გეგეჭკორის რაიონის სარემონტო კანტორას (უფროსი შ. ოკუჯავა). მას კი დღემდე მუშაობა არ დაუწყია.

ზუგდიდელთა მოწოდება ახალი სასწავლო წლისათვის სანიმუშოდ მომზადების შესახებ მართალია განიხილეს რაიონის სკოლებში, საჭირო ღონისძიებაც დასახა, მაგრამ არც ერთ სკოლაში არ უფიქრიათ სასწავლო წლის დამთავრებისთანავე შეექმნათ ბრიგადები უფროსი კლასების მოსწავლეებისა და სკოლის ტექნიკური პერსონალის შემადგენლობით და სკოლის რემონტი საკუთარი ძალებით შეესრულებინათ. ჩვენ მიერ შემოწმებულ ცხრა სკოლიდან ასეთ ფაქტს ვერსად წავაწყდით, ხოლო სკოლის დირექტორების წუწუნი მუშახელზე და რემონტის ხარჯების სიმცირეზე ყველგან ისმოდა.

გეგმის მიხედვით წელს რაიონის 20 სკოლისათვის უნდა გაეკეთებინათ კაპიტალური რემონტი. რემონტისათვის დიდი თანხა — 340 ათასი მანეთი გამოიყო, მაგრამ მისი ათვისება ძალიან ნელი ტემპით მიმდინარეობს. 27 ივლისისათვის ათვისებული იყო მხოლოდ 115 ათასი მანეთი.

ცუდად არის დაყენებული საშენი მასალებით, განსაკუთრებით ცემენტით, სახურავით და ხის მასალით მომარაგება. რაიონული საბჭოს აღმასკომის ადგილობრივი მრეწველობის კომბინატის ავეჯის ფაბრიკა ძალიან დაბალი ხარისხის მერხებს, კარადებსა და მაგიდებს აწვდის სკოლებს.

სკოლებში სწავლების მაღალ დონეზე დაყენების ერთ-ერთი მთავარი პირობაა მოსწავლეთა უზრუნველყოფა სტაბილური სახელმძღვანელოებითა და თვალსაჩინოებისათვის საჭირო მოწყობილობით. მაგრამ რაიონში ვერც ამ მხრივ არის ყველაფერი რიგზე.

მალე დაიწყება ახალი სასწავლო წელი ზაფხულის არდადეგების შემდეგ დასვენებული, გაჯანსაღებული მოსწავლეები კვლავ შეაღებენ მშობლიური სკოლის კარებს. სკოლები ყოველმხრივ მზად უნდა იყვნენ სასწავლო წლის წარმატებით დაწყებისათვის. სკოლების პარტიული, კომკავშირული და პროფკავშირული ორგანიზაციების, აგრეთვე რაიონის ხელმძღვანელი პარტიული და საბჭოთა მუშაკების საპატიო ამოცანაა სწრაფად აღმოფხვრან ახალი სასწავლო წლისათვის მზადებაში არსებული ნაკლოვანებანი და უზრუნველყონ სწავლის ორგანიზებულად დაწყება, სასწავლო-აღმზრდელობითი მუშაობის ახალი მოთხოვნილების სიმაღლეზე აყვანა.

გ. ნოდია,
„კომუნისტის" საკ. კორესპონდენტი.

შესანიშნავად შრომობს მთავარ თბილმშენის № 9 სამმართველოს მშენებელთა კომპლექსური ბრიგადა, რომელსაც მ. კლდიაშვილი ხელმძღვანელობს. იგი ამჟამად აშენებს ორ ოთხსართულიან საცხოვრებელ სახლს. მშენებლობაზე ფართოდ არის გამოყენებული შრომატევადი სამუშაოების მექანიზაცია, შრომის პროგრესული მეთოდები. სურათზე: ახალგაზრდა მშენებლები გ. გატოვი და ვ. ქავთარაძე.

ფოტო ვ. სტოლიაროვისა (საქტესის ფოტოქრონიკა).

შეხვედრის წინ

დ. ეიზენჰაუერის პრეს-კონფერენცია

ვაშინგტონი, 12 აგვისტო. (საქტესი). პრეზიდენტმა ეიზენჰაუერმა, რომელიც დროებით ჰეტისბერგში (პენსილვანიის შტატი) იმყოფება, დღეს გამართა პრეს-კონფერენცია, რომლის დროსაც უპასუხა კორესპონდენტთა კითხვებზე, რომლებიც შეეხება სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის ნ. ს. ხრუშჩოვის მომავალ გამომგზავრებას ამერიკის შეერთებულ შტატებში.

როგორც ამერიკის დეპეშათა სააგენტოები ჰეტისბერგიდან იუწყებიან, პრეზიდენტმა იმედი გამოთქვა, რომ მისი საუბრები ნ. ს. ხრუშჩოვთან ვიზიტების გაცვლის მსვლელობაში გააუმჯობესებენ ატმოსფეროს აღმოსავლეთისა და დასავლეთის ურთიერთობაში.

პრეზიდენტმა, როგორც ნათქვამია იუნაიტედ პრეს ინტერნეიშენლის სააგენტოს ცნობაში, განაცხადა, რომ 1945 წელს დაწყებულ „ცივ ომს" მოჰყვა ისეთი ჩიხი საერთაშორისო ურთიერთობაში, რომ მისი აზრით, ახლა ყველა სახელმწიფო მოღვაწემ ყოველი ღონე უნდა იხმაროს იმისათვის, რომ გაარღვიოს ეს ჩიხი. პრეზიდენტმა თქვა, რომ სწორედ ასე განიხილავს იგი ნ. ს. ხრუშჩოვთან ვიზიტების მომავალ გაცვლას.

როგორც იუნაიტედ პრეს ინტერნეიშენლის სააგენტო იუწყება, პრეზიდენტი ეიზენჰაუერი უარყოფდა, რომ გადაწყვეტილება ნ. ს. ხრუშჩოვთან ვიზიტების გაცვლის შესახებ წარმოადგენს იმ პოლიტიკისაგან უკან დახევას, რომელსაც ახორციელებდა ამერიკის შეერთებული შტატების ყოფილი სახელმწიფო მდივანი დალესი. ეიზენჰაუერის სიტყვით, მან და დალესმა თავის დროზე განიხილეს ნ. ს. ხრუშჩოვთან ეიზენჰაუერის შეხვედრის შესაძლებლობის საკითხი.

როგორც ასოშიეიტედ პრესის სააგენტო აღნიშნავს, პრეზიდენტმა კვლავ განაცხადა, რომ არ შეცვლის იმ პირობებს, რომლებსაც იგი აყენებს მთავრობათა მეთაურების თათბირის განსახორციელებლად. როგორც იუნაიტედ პრეს ინტერნეიშენლის სააგენტო იუწყება, პრეზიდენტმა თქვა, რომ ასეთი თათბირის მოსაწყობად, მისი აზრით, საჭიროა რაღაც პროგრესის მიღწევა იმ პრობლემების გადაჭრაში, რომლებიც არსებობს აღმოსავლეთისა და დასავლეთის ურთიერთობაში.

კარგი სიმბოლო

პეკინი, 12 აგვისტო. (საქტესი). სინხუას სააგენტო, იმოწმებს რა პნომპენში თავისი კორესპონდენტის ცნობას, იუწყება, რომ კამბოჯის გაზეთები „ეკაპიეპი" და „მეტოპჰუმი" მიესალმებიან ვიზიტების მომავალ გაცვლას ნ. ს. ხრუშჩოვსა და დუაიტ ეიზენჰაუერს შორის.

ვიზიტების გაცვლა, „მეტოპჰუმის" განცხადებით, წარმოადგენს საერთაშორისო დაძაბულობის შენელებისათვის ბრძოლის კარგ სიმბოლოს, „ეკაპიეპი" თავის მხრივ ხაზგასმით აღნიშნავს, რომ მთელი მსოფლიოს ხალხები დიდი სიხარულით მიესალმებიან ამ ვიზიტებს, რამდენადაც ისინი ხელს შეუწყობენ საერთაშორისო დაძაბულობის შენელებას.

უგუნურების დიპლომატიის დასასრული

ანკარა, 11 აგვისტო. (საქტესი). თურქეთის ყოველკვირეული „აკისი" დღევანდელ ნომერში ნ. ს. ხრუშჩოვისა და დ. ეიზენჰაუერის მომავალ შეხვედრას უწოდებს „მობრუნების პუნქტს საერთაშორისო ურთიერთობის ისტორიაში".

ეს მოვლენა, წერს ჟურნალი, ცხადყოფს, რომ აღმოსავლეთისა და დასავლეთის ურთიერთობაში ლხვება ყინული და ცივი ომის მდგომარეობა თანდათანობით ქრება. იგი ნიშნავს მუქარის, შიშისა და უგუნურების დიპლომატიის დასასრულს.

ცივი ომი, წერს ჟურნალი, იმას იწვევს, რომ ეროვნულ ბიუჯეტებს ამძიმებს სამხედრო ხარჯები, იარაღის მეფაბრიკეები იძენენ მილიონებსა და მილიარდებს, რომლებიც შეიძლებოდა გამოგვეყენებინა სიღატაკისა და უმეცრების ლიკვიდაციისათვის. მაგრამ, ხაზგასმით აღნიშნავს „აკისი", ზოგიერთ მთავრობას, რომელთა სათავეში დგანან ფრანკოსა და ადენაუერის ტიპის ადამიანები, დაძაბულობა აღმოსავლეთსა და დასავლეთს შორის მიაჩნიათ იმის შესაძლებლობად, რომ შეინარჩუნონ ძალაუფლება და თავიანთი რეჟიმები.

სსრ კავშირის მშვიდობისმოყვარული საგარეო პოლიტიკის გამოვლინება

პეკინი, 12 აგვისტო. (საქტესი). ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის პრესას და საზოგადოებრიობას სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის ნ. ს. ხრუშჩოვის წერილი ატომური შეიარაღების წინააღმდეგ ევროპის ფედერაციის ხელმძღვანელებისადმი მიაჩნიათ საბჭოთა კავშირის მშვიდობისმოყვარული საგარეო პოლიტიკის კიდევ ერთ გამოვლინებად, საბჭოთა კავშირისა, რომლის ხელმძღვანელები გულწრფელად ისწრაფვიან მასობრივი მოსპობის ყველა სახეობათა იარაღის გამოყენებისა და გამოცდის აკრძალვას.

გაზეთები ხაზგასმით აღნიშნავენ, რომ საბჭოთა კავშირს ატომგულის იარაღის გამოცდის აკრძალვა მიაჩნია პირველ ნაბიჯად ატომური და წყალბადის იარაღის სრული აკრძალვისა და ატომგულის იარაღის მთელი არსებული მარაგის ლიკვიდაციის გზაზე.

საბჭოთა კავშირი, აღნიშნავს „ჟენმინ ჟიბაო", მზად არის იკისროს ვალდებულება პირველმა არ აწარმოოს ატომგულის იარაღის გამოცდა.

გაზეთები აღნიშნავენ, რომ, მიუხედავად საბჭოთა მთავრობის არაერთგზის მოწოდებისა, ამერიკის შეერთებული შტატები და ინგლისი არ იჩენენ მზადყოფნას შეწყვიტონ გამოცდა და სწორედ დასავლეთის სახელმწიფოთა უარყოფითი პოზიცია უშლის ხელს შეთანხმების მიღწევას, რასაც ყველა ხალხი ელოდება.

ვეტერანთა სანავარდო

ხალხთა სპარტაკიადის გამოძახილი

ჯერ ერთმა ზურნამ ამოიკნავლა, შემდეგ მეორე აჰყვა გაბმით, ბოლოს ოთახიანი ბაგაბუგით ბანი მისცა და ცირკის ვეებერთელა შენობის შიგნით თუ გარეთ ყველა და ყველაფერი ამოძრავდა და ახმაურდა. თითქმის ორასსაფეხურიან კიბეზე ხალისით ფერთმშესხმული ახალგაზრდობაც ამორბოდა და სანახაობის მოყვარული უფრო ხანდაზმული მაყურებელიც.

ქართულ ჭიდაობაში საქართველოს რესპუბლიკის ფინალური შეჯიბრება იწყებოდა.

ივლისის მზე აცხუნებდა. შუადღისას გარეთ სუნთქვა აღარ შეიძლებოდა. ამ ფართო დარბაზში კი შესამჩნევად გრილოდა, თუმცა შუშაბანდიანი ჭერიდან აქაც ატანდა მზე და სკამების თითქმის ნახევარი ოქროსფერ სხივებში „ბანაობდა".

ლოჟაში შევედი და პირველ სკამზე დავჯექი. ჯერ სკამზე არც კი გავსწორებულიყავი, რომ ჩემს გვერდით ვიღაც დაჯდა, თან წამოიძახა, „მადლობა ღმერთს". მივიხედე, საამური სახის ახოვანი მოხუცი დავინახე. ჩაჩქქერის ქუდივით თეთრი თმა და ულვაში ჰქონდა. სახეზე და ყელ-ყურზე ნათელი გადასდიოდა. თვალები სიხარულით უბრწყინავდა, ხოლო ტუჩებზე და შემჭკნარ ლოყებზე გულკეთილი ღიმილი დასთამაშებდა. შავი შარვალ-ხალათი ეცვა, ბრტყელი ქამარი ერტყა და შავი ქუდი ხელში ეჭირა. ვინც კი შეხედავდა, ამ ადამიანში უთუოდ იცნობდა ძველი თბილისის მოქალაქეს. ნამდვილად ოთხმოც წელს იქნებოდა მიტანებული, მაგრამ წელთა სიმრავლეს ვერ გაეტეხა, ახალგაზრდასავით მოძრავი და მოუსვენარი იყო. მოკრძალებით გავუსწორე ჩემი სკამი, რომ ის უფრო თავისუფლად დამჯდარიყო, და ღიმილით ვკითხე:

— რაზე უხდით „ღმერთს" მადლობას?

— იმაზე, რომ არ დავიგვიანე! ჩემს ასაკში ხუმრობა როდია ორასსაფეხურიან კიბეზე არბენა!

— განა ასე გიყვართ ქართული ჭიდაობა, რომ ამდენად თავს იწუხებთ? — ვკითხე კვლავ ღიმილით.

— ვისაც რა უნდა უყვარდეს, ეს არის ჩემი ტრფიალი! — მიპასუხა გადასხვაფერებული აკაკის ლექსით და თან ღიმილით დამშტერდა.

— განა რას ხედავთ ამ ჭიდაობაში ისეთს, რომ თქვენი ტრფიალი გამხდარა? — არ ვისვენებდი მე. იგი არც კი დაფიქრებულა, უმალვე მიპასუხა ისეთი კაცის კილოთი, რომელსაც ღრმად სწამს თავისი სიმართლე — ყველაფერს, რასაც კი საქართველოში თაყვანს სცემენ: ვაჟკაცობას, პატიოსნებას. მაგარ მკლავს და უტეხ გულს! თავი მოჭიდავე თავი იყო შრომაშიც და ბრძოლაშიც. საუკეთესო ფალავანი ლხინში იადონი იყო, გაჭირვებაში კი პირალესილი ხმალი!

ისეთი ენით, ისეთი ლექსიკით და შედარებებით მელაპარაკებოდა, რაც სხვისგან არ მსმენოდა, მაგრამ ყველაფერი გასაგები იყო ჩემთვის და მეტად დავინტერესდი. კარგი მოხუცი იგივე კარგი წიგნია, სკოლაა, რადგან ცოდნა სხვა არაფერია, თუ არა გამოცდილების გაზიარება, სწორედ იმ გამოცდილებისა, რომელიც ცალკეულ ხალხს და მთელ კაცობრიობას შეუძენია. ამ მოხუცსაც ბევრი რამ ენახა, ბევრი გადახდენოდა, და მინდოდა ყველაფერი გამეგო; ყველაფერი შემესწავლა განსაკუთრებით იმ დარგში, რომლის გულისთვისაც დღეს აქ ერთმანეთს შევხვდით. ეტყობა ის ჩემს აზრს უთქმელადაც კითხულობდა და განაგრძო:

— შვილო, თაყვანს უნდა ვცემდეთ იმას, რაც ხალხს შეუქმნია და წმიდად შეუნახავს. ჩვენ უნდა ვცდილობდეთ იმის ამაღლებას და არა დამდაბლებას. ჩვენში ხალხად ძირითადად იგულისხმებოდა გლეხობა. ქართული ჭიდაობა ყოველთვის ითვლებოდა მართლაც გლეხობის თავშესაქცევ და სავარჯიშო საქმედ. იმ ცნობილ ფალავნებს შორის, რომელთა სახელები დღესაც გვესმის, ვერც ერთს ვერ ნახავთ ე. წ. „ბრწყინვალე გვარის" წარმომადგენელს. ყველანი გლეხობის წრიდან არის!

უცებ მივხვდი, რომ ამას საკუთარი თვალითაც ბევრი ექნება ნახული, და სიტყვა შევაწყვეტინე:

— თქვენ თუ მოსწრებიხართ ისეთ ფალავნებს, რომელთა სახელები დღესაც იხსენიება, როგორც ქართული ჭიდაობის მშვენებისა?

— ძალიან ბევრს, ძველსაც და ახალსაც. რაც თავი მახსოვს, თბილისში არც ერთი ჭიდაობა არ გამართულა: არც ნავთლუღში, არც ისანში, არც ვერაზე, არც დიდუბეში და არც ცირკში, მე რომ არ დავსწრებოდე. ამ ბოლო დროს კი, რაც პენსიაზე გავედი, თუ ყური მოვკარ ქართულ ჭიდაობას, რაიონულ შეჯიბრებებსაც კი ვესწრები ხოლმე! ახლა თუ საამისოდ ვარ მოცლილი, ჩემი საქმიანობით არც მაშინ მეშლებოდა ხელი, როდესაც ვმუშაობდი...

მან თავისი ვინაობა დაწვრილებით გამაცნო. აღმოჩნდა, რომ ბავშვობიდანვე ბამბის ქარხანაში მუშაობდა. შემდეგ დააწინაურეს, საბჭოთა ხელისუფლების დროს ადმინისტრაციულ სამუშაოებზე გადაიყვანეს, ხოლო სულ ბოლოს დირექტორიც კი გახდა, ახლა მოხუცებულობის გამო პენსიაზე გავიდა. საოცრად ჭკვიანი და დაკვირვებული თვალის პატრონად მეჩვენა. თვითგანვითარებით და წიგნების სიყვარულით იქამდის მიეღწია, რომ ძველი ლიტერატურა და საქართველოს ისტორია ზეპირად იცოდა.

დარბაზი თანდათან ხალხით ივსებოდა. შეჯიბრებაში მონაწილე ფალავნები მათთვის განკუთვნილ გამოსასვლელთან ირეოდნენ. მსაჯების მაგიდები ცარიელი მოჩანდა, რადგან თორმეტი საათი ჯერ არ შესრულებულიყო. ყველა მოუთმენლად ელოდა ჭიდაობის დაწყებას, ხოლო მე გატაცებით ვუსმენდი მოხუცს და ზურნის ჰყვიტინსა და დოლის გუგუნში თვალწინ მიდგებოდნენ ის სახელგანთქმული ფალავნები, რომელთა ხსენებითაც ამაყობდნენ ქართული ჭიდაობის მოყვარულნი. მათ შორის ბევრს ლიტერატურით ვიცნობდი, ბევრი კი მთლად უცნობი იყო ჩემთვის. მოხუცს თავის თვალით ენახა უძლეველი კოლა გლდანელის და დასავლეთელი დევ-გმირის ნესტორ ესებუას შერკინება, რომელშიც კოლა დამარცხდა. ენახა აგრეთვე ცერაძის მოხდენილი ჭიდაობა და რკინისმკლავება კოსტა მაისურაძესთან დამარცხება. ენახა ბევრი სხვებიც, მაგრამ დახსომებით კი ახსოვდა ვანო მეფელაურის (ვამბეჩუა) და გოლიათ სანდრო კანდელაკის გამოჩენა, მისა ქურხულის მიერ „ჭიბგირის" (გ. ოდიშვილი) პირველი დამარცხება, უძლეველ ხიზაბავრელზე გამარჯვება, ცოცხლამის ამბები, შამო ვერელის, გორელი ეგნატაშვილების, გარეჯელი ნიკა ბუზარიაშვილის და ლექსო პაპიაშვილის უჩვეულო წარმატებები, ირაკლი კახელის, გ. გარეჯელის, ვანო გლდანელის (ზედაშვილის) და გ. მტკვრისხევლის „ნავარდი" საჭიდაო მოედნებზე.

მოხუცი თავის ნაამბობში განსაკუთრებული აღტაცებით იმას აღნიშნავდა, რომ ყველა ეს ფალავანი ზუსტად იცავდა იმ რაინდულ-ვაჟკაცურ წესებს, რაც საუკუნიდან საუკუნემდე ქართველ ხალხს გამოუმუშავებია. მოჭიდავეები ერთმანეთს ყოველთვის ვაჟკაცური პირდაპირობით, არავითარი ეშმაკობა და ცბიერება მათში არ იყო. მხოლოდ ხერხით, ფანდებით და მკლავის სიმაგრით ცდილობდნენ ერთმანეთის დამარცხებას, უბრალოდ დაცემულ მოწინააღმდეგეს გაუშვებდნენ, რომ ფრთოვანი იყო და ვაჟკაცური პირდაპირობით კვლავ განეგრძოთ ბრძოლა. ამა თუ იმ ილეთის გამოყენებისას ერთმანეთს დროებით იყენებდნენ ფეხსაც და ხელსაც...

კიდევ რაღაც უნდა ეთქვა მოხუცს, მაგრამ ჭიდაობა დაიწყო და ჩვენ ამან წარმართა ყურადღება. უმჩატესი წონის პირველი წყვილი ერთმანეთის პირისპირ იდგა...

როგორ მიმდინარეობდა ეს შეჯიბრება, ვინ ვის ებრძოდა, ვინ გაიმარჯვა და ვინ დამარცხდა, ყველაფერის აღწერა ძნელიცაა და ზედმეტიც. მე მხოლოდ ერთ გარემოებას მინდა მივაქციო მკითხველის ყურადღება. მოხუცმა მითხრა, თვალი ისე მაქვს გაწაფული, ოღონდ ვნახო როგორ ჭიდაობს ესა თუ ის ფალავანი და წინასწარვე გეტყვი ჩემპიონი ვინ გახდებაო. ასეთი წინასწარმეტყველება საერთოდ შეუძლებელია და მე ძალზე დავინტერესდი, ნუთუ ამას მართლა შეძლებს-მეთქი. როდესაც შესვენება გამოაცხადეს, მოხუცს ვთხოვე ეთქვა თავისი აზრი. მან პასუხი არ დამაყოვნა:

— ყველაზე უკეთ გამოიყურებიან გორელები, თბილისელები და ახმეტელები. ჰო, მართლა! მსუბუქ წონაში ჩემპიონი უთუოდ გორელი ა. ოდიშვილი გახდება!

საღამოს შვიდ საათზე დარბაზი ხალხს ვეღარ იტევდა. ისევ შევხვდით ერთმანეთს. შეჯიბრებამ საზეიმო ვითარებაში და დაძაბული ინტერესით ჩაიარა, რადგან ეს საღამო მძიმე წონის მოჭიდავეებს მიჰყავდათ და ბევრი ფრიად საინტერესო ახალი სახელი და გვარი გამოჩნდა, ახალი რაიონები გამოვიდნენ ასპარეზობაზე, მაგრამ მე ყველაზე მეტად მაინტერესებდა ამ საღამოს შედეგზე მოხუცის აზრი და წინასწარმეტყველება. როდესაც ჭიდაობა შეწყდა და გარეთ გამოვედით, ჩემს შეკითხვაზე მან ასეთი პასუხი გამცა:

— ამოიღეთ და ჩაიწერეთ, რასაც გეტყვით, და როდესაც შედეგები გამოცხადდება, შეადარეთ, მართალი აღმოვჩნდები თუ არა!

მე მართლაც ჩავიწერე და ამის შესახებ მოგახსენებთ ამ წერილის დასასრულს.

ოთხ დღეს გრძელდებოდა ეს შესანიშნავი ასპარეზობა და მე ყოველდღე დილა-საღამოს ვხვდებოდი მოხუცს. ორივენი დაძაბული ინტერესით ვადევნებდით თვალს, რაც ხალიჩაზე ხდებოდა და ყოველთვის თითქმის ერთი და იგივე აზრი გამოგვქონდა ამა თუ იმ მოჭიდავეზე, ამა თუ იმ რაიონის წარმატებლობაზე. ამ შეჯიბრებაში როგორც ჩვენთვის, ისევე ხალხისათვისაც საყვარელ გმირად იქცა გორელი ფალავანი დ. ბერუაშვილი. მან მაყურებლებს ერთხელ კიდევ აჩვენა ქართული ჭიდაობის წარმტაცი სახე და რაინდულ-ვაჟკაცური ბუნება. არანაკლები შთაბეჭდილება დატოვეს სიცოცხლით სავსე მცხეთელმა ქიბროწაშვილმა, სტალინირელმა ფუხაევმა, ახმეტელმა თედიევმა, კასპელმა კაციაშვილმა და მარიამიძემ, გორელმა ა. ბაზერაშვილმა და თბილისელმა გოლიათმა კიკნაძემ. ვერავისზე ვერ დატოვეს კარგი შთაბეჭდილება და მოხუცის გულისწყრომა გამოიწვიეს ერთი ახიმებული ილეთით და ხალიჩიდან გაქცევის ცდით — მ. ელერდაშვილმა, ქოჩიშვილმა და ბიჭოშვილმა. ყველა ააღელვა და აღაფრთოვანა ბიძაშვილების ნ. და შ. რომელაშვილების მოხდენილმა და ცეცხლოვანმა ჭიდაობამ. ერთი გორის რაიონის სახელით გამოდიოდა, მეორე დუშეთის სახელით. გამარჯვება სამართლიანად დარჩა შესანიშნავი მომავლის მქონე შალვა რომელაშვილს, მიუხედავად იმისა, რომ იგი ჩემპიონი არ გამხდარა.

ერთ-ერთი ყველაზე ძლიერი შეჯიბრების ოთხდღიანი ბრძოლა ქართულ ჭიდაობაში დამთავრდა. მსაჯთა კოლეგიამ ახალი ჩემპიონების გვარები გამოაცხადა, სახელდობრ: უმჩატეს წონაში თბილისელი ჩ. ქუცნიაშვილი, მჩატე წონაში კასპელი ლ. კაციაშვილი, ქვემსუბუქ წონაში თბილისელი მ. ელერდაშვილი. მსუბუქ წონაში გორელი ა. ოდიშვილი, ქვესაშუალო წონაში გორელი ა. ბაზერაშვილი, საშუალო წონაში მცხეთელი ქიბროწაშვილი და მძიმე წონაში თბილისელი ანზორ კიკნაძე. მოხუცის ნაწინასწარმეტყველევი სიას ჩავხედე და გაოცებული დავრჩი — გუნდური პირველობა მართლაც გორს მიენიჭა, მეორე ადგილზე თბილისის გუნდი გამოვიდა, ხოლო მესამეზე ახმეტის გუნდი. ჩემპიონების სიაში მხოლოდ ორი კორექტივი იყო, კასპელ მ. ნაერაშვილის მაგიერ პირველ ადგილზე მ. ელერდაშვილი გავიდა, ხოლო შალვა რომელაშვილი ვერც მეორე ადგილზე აღმოჩნდა.

მოხუცის მისამართი ჩავიწერე. მან ბევრი რამ ისეთი მიამბო, რომელზეც წარმოდგენა არავის არა აქვს. გადაწყვეტილი მაქვს თავის დროზე დაწვრილებით აღვწერო, უფრო დაწვრილებით გავეცნოთ, რაც კი ქართულ ჭიდაობას და სახელმოხვეჭილ ფალავნებს ეხება. მოხუცის მისამართიც სწორედ იმიტომ ჩავიწერე, რომ ის ცოცხალი მატიანე მეჩვენა და მუშაობაში გზის გამკვლევად მეყოლება.

როდესაც ერთმანეთს გამოვეთხოვეთ, მან ასეთი თხოვნით მომმართა:

— ქართული ჭიდაობა კადრების ის წყაროა, რომელიც გვაძლევს საშუალებას, თამამად გავიდეთ მსოფლიოს ასპარეზზე ჭიდაობის სხვადასხვა სახეობაში. ვინც კი დღეს ჩემპიონები გვყავან: თავისუფალ ჭიდაობაში, კლასიკურში თუ სამბოში, ყველა ქართული ჭიდაობიდან მოვიდა. მას განსაკუთრებული ყურადღებით უნდა მოვეკიდოთ. თუ ეროვნული სპორტის ეს შესანიშნავი სახეობა თავის სიმაღლეზე დავაყენეთ, უფრო ადვილად და იმედიანად, უფრო თამამად გავიკვლევთ გზას მსოფლიო ასპარეზისაკენ.

მე მოხუცის ეს აზრი სწორად მიმაჩნია და თქვენც გადაგცემთ.

სიმონ მთვარაძე.

ყველაფერი საბჭოთა ადამიანისათვის

დიდი მნიშვნელობის გამოგონება

დაახლოებით ერთი წლის წინათ ქ. რიგის ერთ-ერთი ქარხნის ელექტროტექნოლოგიური ლაბორატორიის გამგე ლეო როზე მძიმედ გახდა ავად და საავადმყოფოში მოათავსეს. მას შარდის ბუშტში აღმოაჩნდა ქვები.

ლ. როზემ თვითონ გადაწყვიტა, რომ ის ყველაფერს გააკეთებდა იმისათვის, რათა გამოეგონებინა აღნიშნული ავადმყოფობის ეფექტური სამკურნალო საშუალება. საავადმყოფოში ყოფნისას მან დაიწყო ავადმყოფობის შესწავლა, გაეცნო ადამიანის ორგანიზმის აგებულებას, სამედიცინო ინსტრუმენტებს და სხვ.

ქარხნის მთავარი ინჟინრის ამხ. ეგლეს ნებართვით ლ. როზემ სამედიცინო მეცნიერების კანდიდატ გოლდზეგთან ერთად დაიწყო აპარატის კონსტრუირება და ცდების ჩატარება. პირველი ცდები უშედეგო აღმოჩნდა. გამომგონებლებმა მაინც განაგრძეს კვლევითი მუშაობა და უმოკლეს ხანში მიიღეს უმნიშვნელოვანესი შედეგები. მათ შექმნეს აპარატი, რომელიც კომბინირებულია უროლოგიურ ინსტრუმენტებთან ერთად და რომლის საშუალებით ძალიან ადვილად ხდება შარდის სავალში ქვების დამტვრევა.

პირველად არის შარდის ბუშტში მყოფი ქვების დასამტვრევად გამოყენებული ელექტროენერგიის გადაყვანა მექანიკურ ენერგიად, რომელიც სათანადო დოზის ხმარებით იღებს ქვების დამტვრევის დიდ თვისებებს. ამასთან აპარატის მუშაობა ორგანიზმს არავითარ თერმულ ან მექანიკურ ზიანს არ აყენებს და ტკივილებს არ იწვევს, ამიტომ წარმოებს ანესთეზიის გაუკეთებლად.

კლინიკური დაკვირვებანი ცხადყოფენ, რომ ახალშექმნილ აპარატს დიდი მომავალი აქვს, მისი გამოყენება შეიძლება არა მარტო მაშინ, როდესაც ქვები უკვე შარდის ბუშტში იქნება აღმოჩენილი, არამედ მაშინაც, როცა ისინი ზემო ურინულ სვლებში არიან.

აქამდე მედიცინაში არსებობდა მარტო ოპერატიული ჩარევა ქვების მოსპობისათვის, ახლა კი უმრავლეს შემთხვევაში გამოყენებული იქნება ლ. როზეს აპარატი, რომელიც კლინიკურ პირობებში უკვე გამოსცადეს და ყოველთვის კარგ შედეგებს იძლეოდა.

სპეციალისტები ამტკიცებენ, რომ ურინულ სვლებში ქვების დამტვრევის ახალი მეთოდი მსოფლიო მნიშვნელობის უდიდესი გამოგონებაა.

ი. მელიქიშვილი.

„კომუნისტის" სიგნალის შემდეგ

„დანაშაულებრივი უდარდელობა"

ამ სათაურით „კომუნისტში" დაბეჭდილი რეიდის მასალა შეეხებოდა ქ. ჭიათურის საზოგადოებრივი კვების ქსელში არსებულ სერიოზულ ნაკლოვანებებს.

ამასთან დაკავშირებით საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის საბჭოს მუშათა მომარაგების სამმართველოს უფროსი ამხ. ს. აბაშიძე გვწერს, რომ გაზეთის კრიტიკა სწორია და წერილში მოყვანილი ფაქტები შემოწმებით დადასტურდა. მუშათა მომარაგების სამმართველომ მიიღო ზომები ნაკლოვანებათა გამოსასწორებლად. № 7 სასადილოს გამგე გ. ჯაჯანიძე და № 8 სასადილოს გამგე ა. შუკაკიძე მოხსნილი არიან თანამდებობიდან სასადილოებში ანტისანიტარიული მდგომარეობისა და უგემური, ერთფეროვანი კერძების დამზადებისათვის.

არა! — ეუბნება ომს ახალგაზრდობა

დემოკრატიული ახალგაზრდობის მსოფლიო ფედერაციის V ასამბლეა

პრაღა, 12 აგვისტო. (საქტესი). დემოკრატიული ახალგაზრდობის მსოფლიო ფედერაციის V ასამბლეის გუშინდელ საღამოს სხდომაზე პირველი გამოვიდა კვიპროსის ახალგაზრდობის დელეგატი პიონიდოსი. მისი სიტყვა გამსჭვალულია ახალგაზრდა კვიპროსელთა მხურვალე მისწრაფებით ბოლო მოეღოს იმპერიალისტურ ძალადობას კუნძულზე, მოიპოვონ თვითგამორკვევის უფლება და დამოუკიდებლობა.

შეკრებილებმა დიდი ინტერესით მოისმინეს აფრიკის ახალგაზრდობის საბჭოს მეთვალყურის ტუნკარის გამოსვლა. მან ხაზგასმით აღნიშნა, რომ გვინეის ახალგაზრდობა მხარს უჭერს ახალგაზრდობის მეგობრობისა და თანამშრომლობის გაფართოებას, მშვიდობასა და პროგრესს, იბრძვის ომის წინააღმდეგ.

შემდეგ თავმჯდომარე შეკრებილთა ტაშის გრიალში კითხულობს ასამბლეის მისასალმებელ დეპეშას კუბის რესპუბლიკის მთავრობისადმი. დეპეშაში ასამბლეა სოლიდარობას უცხადებს კუბას დამოუკიდებლობის შენარჩუნებისათვის, იმპერიალისტი ინტერვენტების ხრიკების წინააღმდეგ ბრძოლაში.

არგენტინის ახალგაზრდობის კომუნისტური კავშირის აღმასრულებელი კომიტეტის წევრმა არნოლდო პინერამ აღნიშნა, რომ არგენტინელი ახალგაზრდების ბრძოლა მშვიდობისათვის მჭიდროდ უკავშირდება ბრძოლას არგენტინის ეროვნული დამოუკიდებლობისათვის, თვითგამორკვევისათვის, სამხედრო ბაზებისა და გამალებული შეიარაღების ლიკვიდაციისათვის.

სიტყვას ამბობს პოლონეთის ახალგაზრდობის დელეგაციის ხელმძღვანელი მ. რენკე. ხაზგასმით აღნიშნა რა, რომ დიდი მნიშვნელობა აქვს ახალგაზრდობის თანამშრომლობას ხალხთა მშვიდობისა და მეგობრობის განმტკიცების საქმეში, მ. რენკემ ილაპარაკა პოლონეთის ახალგაზრდობის კონკრეტულ ღონისძიებებზე ამ მიმართულებით.

მშვიდობის მსოფლიო საბჭოს სახელით მისასალმებელი სიტყვა წარმოთქვა მშვიდობის მსოფლიო საბჭოს მდივანმა ფერნან ვინმა. ორატორმა ხაზგასმით აღნიშნა, რომ საჭიროა მოეწყოს მოლაპარაკება სადავო საკითხების მოსაწესრიგებლად. ამასთან დაკავშირებით მან განსაკუთრებით აღნიშნა სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარეს ნ. ს. ხრუშჩოვსა და ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტ დ. ეიზენჰაუერს შორის ვიზიტების მომავალი გაცვლის მნიშვნელობა.

დელეგატები და სტუმრები გულთბილად მიესალმნენ საფრანგეთის კომუნისტური ახალგაზრდობის წარმომადგენელს ცნობილ ფრანგ პატრიოტს ანრი მარტენს, რომელიც თავის დროზე ფრანგმა ხელისუფლებმა საპყრობილეში ჩასვეს იმისათვის, რომ მან უარი თქვა „ბინძურ ომში" სამსახურზე ინდოჩინეთში.

ასამბლეის მონაწილენი მიესალმებიან მებრძოლი ალჟირელი ხალხის და მისი ახალგაზრდობის წარმომადგენელს ტალებ შეიბს. იგი ლაპარაკობს ალჟირელი პატრიოტების შეიარაღებულ ბრძოლაზე ეროვნული დამოუკიდებლობისათვის, ფრანგი ინტერვენტების წინააღმდეგ და გამოთქვამს რწმენას, რომ გაიმარჯვებს ალჟირელთა სამართლიანი საქმე.

მაროკოს ახალგაზრდობის წარმომადგენლის გამოსვლით დამთავრდა დისკუსია გუშინდელ სხდომაზე.

პოლიტიკურ ბარომეტრთან

ისრის უკუღმა გადატრიალების მსურველები...

ნახ. ბ. ეფიმოვისა.

საირუს იტონის საჩუქარი

12 აგვისტოს სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის მიღწევათა გამოფენის გამოსაყვან წრეში მოხდა შორტჰორნის ჯიშის სამი ბულას და სამი ძროხის გადაცემა, რომლებიც სსრ კავშირის სოფლის მეურნეობის სამინისტროს აჩუქა ამერიკელმა ცნობილმა მრეწველმა და საზოგადო მოღვაწემ საირუს იტონმა.

გადაცემული ცხოველები არიან იტონის ფერმის ჯოგის რჩეული ეგზემპლარები. მათ გამოიყენებენ ჩვენი ქვეყნის სახეზე მეურნეობებში პირუტყვის სახორცე თვისებათა გასაუმჯობესებლად. (საქტესი).

ეროვნული ბიბლიოთეკა

ძლიერების, სიჭაბუკის ზეიმი

პირველი ჩემპიონი

მოსკოვი, 13 აგვისტო. (ტელეფონით). უძლიერესთა ასპარეზობის დღეები იწურება. ყოველ შეჯიბრებას ახალ-ახალი შედეგები მოაქვს. სსრ კავშირისა და მოძმე რესპუბლიკათა რეკორდების ცხრილებში შეტანილია თვალსაჩინო ცვლილებები.

ლენინის სახელობის სტადიონის საცურაო აუზში გაიხსნა შეჯიბრება ცურვაში. სტარტიორის დამბაჩის ხმამ ჰაერი გააპო. სპორტსმენები სწრაფი ნახტომით ჩაეშვნენ წყალში. დაიწყო ფინალური ბრძოლა 200 მეტრზე ბრასის სტილით ცურვაში. მალე წინ გაიჭრა საქართველოს გუნდის წარმომადგენელი ალბერტ ანტონიანი და შესანიშნავი ფინიშით პირველი ადგილი და ოქროს მედალი მოიპოვა. მას ულოცავდნენ გამარჯვებას. იგი ჩვენი რესპუბლიკიდან პირველი ჩემპიონია. დრო—2 წუთი 40,3 წამი.

აქ 100 მეტრზე ნებისმიერი სტილით ცურვაში ქალთა შორის უძლიერესი იყო ესტონეთის სპორტსმენი ტიპელი. საქართველოს წარმომადგენელმა არკადიევამ მესამე ადგილი დაიკავა. ესტონელებმა მეორე ოქროს მედალი მოიპოვეს აგრეთვე ქალთა შორის 200 მეტრზე ბრასის სტილით ცურვაში. ეს იყო უცემესი. ჩვენი რესპუბლიკიდან კრილოვამ მესამე ადგილი დაიკავა.

მცურავთა სამი დღის ასპარეზობის შემდეგ წინ არის ლენინგრადის ძლიერი კოლექტივი. საქართველოს გუნდი ჯერჯერობით მეექვსე ადგილზეა. ასეთივე შედეგი აქვს ბათუმის ლუდის ქარხნის გუნდს ძირეულ ფიზკულტურულ კოლექტივებს შორის.

კალათბურთი, წყალბურთი

დღეს საქართველოს კალათბურთელ ქალთა გუნდი კვლავ წარუმატებლად გამოვიდა, წააგო შეჯიბრება ლიტველებთან 35:38.

საერთო ინტერესს იწვევდა მოსკოვისა და საქართველოს ვაჟთა გუნდების შეჯიბრება. როგორც ჩანს, ლატვიის გუნდთან დაძაბული ბრძოლის შემდეგ ჩვენი კალათბურთელები გადაიქანცნენ. ერთი დღის შემდეგ ისინი კვლავ უძლიერეს გუნდს — მოსკოვის კალათბურთელთა კოლექტივს შეხვდნენ და წააგეს მატჩი ანგარიშით 53:65.

შეჯიბრება წყალბურთში საქართველოსა და აზერბაიჯანის გუნდებს შორის დამთავრდა ფრედ 4:4.

თანამედროვე ხუთჭიდი, ტყვიისა და სასტენდო სროლა

მალე შეჯამდება შედეგები თანამედროვე ხუთჭიდში. მესამე სახეობაში — პისტოლეტის სროლაში საუკეთესო შედეგი აჩვენა ბელორუსიელმა სპორტსმენმა სავჩენკომ, ხოლო გუნდურ ჩათვლაში გაიმარჯვეს ლიტველებმა. სამი სახეობის შემდეგ დღეისათვის შეგროვებული ქულების მიხედვით ჩემპიონატის ლიდერია ნოვიკოვი (სომხეთი), გუნდურ ასპარეზობაში კი წინ არიან ლენინგრადელები, რომლებმაც 8004 ქულა შეაგროვეს. საქართველოს გუნდი 7087 ქულით მეექვსე ადგილზე იმყოფება.

გათამაშდა ტყვიით სროლის ექვსი სახეობა. პირველ ადგილს ინარჩუნებენ ლენინგრადელები, რომლებიც მომდევნო ადგილზე მყოფ მოსკოვის გუნდს 9 ქულით უსწრებენ. საქართველოს გუნდი 53 ქულით მეექვსე ადგილზეა. ჩვენი რესპუბლიკის წარმომადგენელმა ქვილიშვილმა სამი მდგომარეობიდან სროლაში 300 მეტრზე მეორე ადგილი დაიკავა.

დღევანდელი დღის ასპარეზობა ტყვიის მსროლელებმა ახალი წარმატებით აღნიშნეს. რევოლვერ-პისტოლეტით სროლაში 600 შესაძლებლიდან 589 ქულა შეაგროვა ვოლინსკიმ (ბელორუსია), რაც აღემატება მსოფლიო რეკორდს.

დამთავრდა შეჯიბრება სასტენდო სროლაში. აქ სპორტსმენები უკანასკნელ დღის ერთმანეთს პირველობას ეცილებოდნენ მრგვალ სტენდზე სროლაში. გუნდურ შეჯიბრებაში წარმატებით გამოვიდნენ უკრაინელები. მათ 31 ქულით პირველი ადგილი დაიკავეს. საქართველოს გუნდი მეექვსე ადგილზე გამოვიდა.

პირად ასპარეზობაში უძლიერესის წოდება მოიპოვა ხარკოველმა სპორტსმენმა კამპფმა. ანტონოვმა (საქართველო) მეხუთე ადგილი დაიკავა.

ტანვარჯიში, მოტოსპორტი, ფრენბურთი, ცხენოსნობა

ოსტატმა ქალებმა ნებისმიერი ვარჯიშით დაამთავრეს შეჯიბრება ტანვარჯიშში. ბრძოლა პირველობისათვის ძირითადად მიმდინარეობდა მოსკოვისა და უკრაინის გუნდებს შორის. 76,05 ქულით საერთო პირველი ადგილი და ჩემპიონობა მოიპოვა ასტახოვამ.

გუნდურ ბრძოლაში მოსკოველებმა გაუსწრეს უკრაინის კოლექტივს და პირველი ადგილი დაიკავეს. საქართველოს გუნდი მეხუთე ადგილით დაკმაყოფილდა.

რამდენიმე დღეა გრძელდება მოტომრბოლთა შეჯიბრება. ყველაზე ნაკლები საჯარიმო ქულით წინ არის ლენინგრადის გუნდი. საქართველოს სპორტსმენებს 241 საჯარიმო ქულა აქვთ და მეექვსე ადგილზე არიან.

ცხენოსნები ამთავრებენ შეჯიბრებას. დაბრკოლებათა გადალახვაში ვასენკოვმა (საქართველო) მესამე ადგილი დაიკავა. ცხენოსნობის 5 სახეობის შემდეგ ჩვენი რესპუბლიკის გუნდი მერვე ადგილზეა. წინ არიან მოსკოველები.

ახალი მსოფლიო რეკორდი მძლეოსნობაში, შეჯიბრება ჩოგბურთში

მძლეოსანთა დღევანდელი ასპარეზობა ახალი წარმატებით აღინიშნა. 50 კილომეტრზე სპორტულ სიარულში მოსკოველმა ვედიაკოვმა ახალი მსოფლიო რეკორდი დაამყარა, მან აჩვენა დრო 4 საათი, 3 წუთი და 52,2 წამი. საქართველოს მძლეოსანი შჩერბინა მეხუთე ადგილზე გამოვიდა. ბადროს ტყორცნაში ქალთა შორის გაიმარჯვა პონომარიოვამ. ჩვენმა მძლეოსანმა ლ. ტუღუშმა მეორე ადგილი დაიკავა. ათჭიდში კვლავ წინ არის კუზნეცოვი. მოსკოველები გუნდურ ბრძოლაში ლიდერობას ინარჩუნებენ. საქართველოს გუნდი მეცხრე ადგილზეა.

ჩოგბურთელებმა დაიწყეს შეჯიბრება პირად პირველობაზე. ქალთა შორის კარგი მაჩვენებლები აქვს ჩვენი რესპუბლიკის წარმომადგენელ რიაზანოვას.

7 შესაძლებლიდან 7 ქულა

დამთავრდა შეჯიბრება კლასიკურ ჭიდაობაში. როგორც ვიუწყებოდით, ფინალში ჩვენი რესპუბლიკიდან მხოლოდ ერთი მოჭიდავე მოხვდა. ეს იყო ჩიტიაშვილი და მანაც მესამე ადგილი დაიკავა. ჩვენი გუნდი კი მეექვსე ადგილზე გამოვიდა. დანარჩენმა ქართველმა მოჭიდავეებმა, კერძოდ, ქორიძემ და გვანცელაძემ პირველ ექვსეულში მეოთხე-მეხუთე ადგილები დაიკავეს.

მოსალოდნელი იყო, რომ საქართველოს სპორტსმენები კლასიკურ მოჭიდავეთა წარუმატებლობის შემდეგ გააკეთებდნენ სათანადო დასკვნებს თავისუფალ ჭიდაობაში, მაგრამ პირველი მაჩვენებლები არც აქ არის სახარბიელო. მაგალითად, ცალქალამანიძემ წააგო შეხვედრა ქულებით ყირგიზეთის წარმომადგენელთან, ხოლო რუბაშვილმა და გვიმრაძემ შეხვედრები ფრედ დაამთავრეს. კარგად ჩაატარა ბრძოლა და პირველი გამარჯვება მოიპოვა არსენიანმა.

მორიგ ტურში საქართველოს მოჭადრაკეებს შეხვედრა ჰქონდათ მოსკოვის გუნდთან. შეჯიბრება დამთავრდა მოსკოველთა სასარგებლოდ. 5,5:2,5 (ბოტვინიკისა და გურგენიძის პარტია გადადებულია). ამ შეჯიბრებაში ნონა გაფრინდაშვილმა თავის გუნდს კიდევ ერთი ქულა შესძინა. საერთოდ მას დღემდე გამართული 7 შეხვედრიდან 7 ქულა აქვს.

გუნდური მაჩვენებლები

საერთო გუნდური მაჩვენებლები ასეთია: პირველ ადგილზეა მოსკოვის ნაკრები გუნდი, მეორეზე — რსფსრ, მესამეზე — ლენინგრადი, მეოთხეზე— უკრაინა, მეხუთეზე — საქართველო, მეექვსეზე — ესტონეთი, მეშვიდეზე— ბელორუსია.

ვ. გაბელია,
„კომუნისტის" სპეც. კორესპონდენტი.



მოსკოვი. სსრ კავშირის ხალხთა II სპარტაკიადა. გამორბენით სიმაღლეზე ხტომაში ვაჟთა შორის სპარტაკიადის ჩემპიონის წოდება მოიპოვა იგორ კაშკაროვმა (რსფსრ, მოსკოვი). მისი შედეგია 2 მეტრი და 11 სანტიმეტრი. სურათზე: იგორ კაშკაროვი ხტომის დროს.
ფოტო ა. ბატანოვისა და ს. პრეობრაჟენსკისა (საკდესის ფოტოქრონიკა).

პოლიტიკა, რომელიც ხელს უშლის დაძაბულობის შენელებას

ლონდონი, 12 აგვისტო. (საკდესი). უკანასკნელ დროს ინგლისის პრესაში დაიბეჭდა მთელი რიგი სტატიები, რომლებშიც ხაზგასმით აღნიშნულია, რომ ადენაუერი და დე გოლი თავიანთი პოლიტიკით ხელს უშლიან საერთაშორისო დაძაბულობის შენელებას. სიდნეი ტრემეინი კონსერვატიულ გაზეთ „დეილი ტელეგრაფში" აღნიშნავს, რომ გენერალ დე გოლისა და კანცლერ ადენაუერის კავშირი იწვევს მეტად არასასურველ შედეგებს. „ეს ორი ჯიუტი, პატივმოყვარე კაცი, — წერს ტრემეინი, — გამოდის ცივი ომის შენელების წინააღმდეგ, ატომგულის ბომბებისაგან მსოფლიოს გადარჩენის წინააღმდეგ".

ტრემეინი აღნიშნავს, რომ დასავლეთი გერმანია თანამშრომლობს საფრანგეთთან ატომური ბომბის წარმოების დარგში, და წერს, რომ ამ ბომბს ქმნიან, რათა კოზირად გამოიყენონ იგი და წინააღმდეგობა გაუწიონ სსრ კავშირთან დასავლეთის ურთიერთობაში დაძაბულობის შენელებას, რათა დარჩნენ დალესისეული „მასირებული დარტყმის" ძველ პოზიციაზე. ადენაუერსა და დე გოლს, განაგრძობს სტატიის ავტორი, „ორივეს აქვს დასავლეთ ევროპაში პოლიტიკური ბატონობის პრეტენზია, ეყრდნობიან რა ამასთან ატომგულის ბომბს". შემდეგ ავტორი წერს, რომ ადენაუერი და დე გოლი „ყველაზე ძლიერ წინააღმდეგობას უწევდნენ უმაღლეს დონეზე თათბირის მოწვევის საქმეს".

მეორე კონსერვატიული გაზეთი — „დეილი ექსპრესი" სარედაქციო სტატიაში სათაურით „ეს კაცი საშიშია", წერს, რომ ადენაუერი ისწრაფვის „განაგრძოს რუსეთისა და შეერთებული შტატების ჩხუბი ერთადერთი მიზნით — შეიერთოს აღმოსავლეთი გერმანია და ის მიწები, რომლებიც უფრო იქით აღმოსავლეთისაკენ მდებარეობენ და რომლებიც პოლონეთს გადაეცა... ადენაუერის ასეთ პოლიტიკას შეუძლია ახალი ომი გამოიწვიოს. ინგლისელი ხალხი კი ესწრაფვის მშვიდობას და ამიტომ, სანამ ადენაუერი ებღაუჭება თავის საგარეო პოლიტიკას, არავითარი შეთანხმება არ შეიძლება ფედერალურ გერმანიასა და დიდ ბრიტანეთს შორის".

შევწყვიტოთ ომი ალჟირში

პარიზი, 12 აგვისტო. (საკდესი). როგორც გაზეთი „ლიბერასიონი" იუწყება, გვინეის რესპუბლიკის პრეზიდენტმა სეკუ ტურემ მაროკოს გაზეთ „ალ-ისტიკლალისათვის" მიცემულ ინტერვიუში განაცხადა, რომ საფრანგეთის მთავრობამ ანგარიში უნდა გაუწიოს მსოფლიო საზოგადოებრიობის მოთხოვნას და შეწყვიტოს ომი ალჟირში.

„ალჟირელ ხალხს, — თქვა მან, — ისე როგორც მსოფლიოს ყველა ხალხს, აქვს დამოუკიდებლობისა და თვითგამორკვევის უფლება". ჩვენ გამოვდივართ ალჟირის ომის წინააღმდეგ იმიტომ, აღნიშნა მან, რომ ალჟირი ეკუთვნის აფრიკის კონტინენტს, აგრეთვე იმიტომ, რომ ჩვენი პოლიტიკის მიზანია ამ კონტინენტის სრული განთავისუფლება კოლონიალიზმისაგან. გვინეის რესპუბლიკა ემხრობა ალჟირელი ხალხისათვის დამოუკიდებლობის დაუყოვნებლივ მინიჭებას.

მაკელროი ლაპარაკობს რაკეტული ბაზების შესახებ

ნიუ-იორკი, 12 აგვისტო. (საკდესი). ასოშიეიტედ პრესის სააგენტოს კორესპონდენტი ოტავიდან იუწყება, რომ კანადის თავდაცვის მინისტრ პირკსთან სამხედრო საკითხების განსახილველად კანადაში ჩავიდა შეერთებული შტატების თავდაცვის მინისტრი მაკელროი.

გამოვიდა რა პრეს-კონფერენციაზე, მაკელროი ამტკიცებდა, რომ შეერთებული შტატების მთავრობა არ აპირებს შექმნას კანადაში ამერიკის ბაზები საკონტინენტთაშორისო ბალისტიკური რაკეტებისათვის. ამასთანავე მაკელრომ თქვა, რომ კანადის მთავრობა სავსებით შესაძლებელია, რომ „მოინდომებს" საკონტინენტთაშორისო ბალისტიკური რაკეტების ბაზების შექმნას კანადაში.

რედაქტორის მოადგილე
დ. სტურუა.

ქალაქი მზიანეთი

საქართველოს პიონერთა VI შეკრება

ახალდაბიდან სულ ნახევარი საათის სავალზეა ძველი ნანეძვარი, სულის, გულისა და თვალის ნამდვილი სავანე. უნდა ნახოთ, რა ამბავია დღეს იმ ადგილებში... საქართველოს ყოველი კუთხიდან ჩამოსულან ბავშვები და აშენებენ პიონერულ ქალაქს მზიანეთს...

„შრომა, ლხინი, თამაში
ძმურად გავიზიარეთ,
პიონერთა ახალშენს
გაუმარჯოს მზიანეთს!"

ქალაქი შენდება, მაგრამ ექსკავატორების, ბულდოზერებისა და ამწევების გუგუნი არ ისმის, არც მანქანები მიდი-მოდიან და არც საძირკვლებსა თხრის ვინმე.

„რა ქალაქია ასეთი?" — იკითხავს კაცი.

რა ქალაქია და თამაშობით შეთხზული მზიანეთი. თუმცა მართლა სჯობს ზოგი რამ დაწვრილებით ვთქვათ... ამ ზამთარს გაზეთმა „ნორჩმა ლენინელმა" თავის ფურცლებზე წამოიწყო ასეთი თამაში: „ვაშენებთ პიონერულ ქალაქს!" ამ თამაშობაში ყველა პიონერს შეეძლო მონაწილეობის მიღება, მხოლოდ საჭირო იყო ჩაწერილიყო ნორჩ მშენებელთა ბრიგადაში. რაზმეულის საბჭო ბრიგადების სიებსა და ხელმძღვანელთა გვარებს განცხადებასთან ერთად გზავნიდა პიონერული ქალაქის მშენებლობის მთავარ სამმართველოში, რომლის უფროსად მოწვეულია სსრ კავშირის მშენებლობისა და არქიტექტურის აკადემიის ნამდვილი წევრი, სტალინური პრემიის ლაურეატი, არქიტექტორი არ. ქურდიანი.

თამაში მოეწყო ორ ეტაპად.

პირველი ეტაპი თებერვალში დაიწყო და 15 ივლისამდე გაგრძელდა. პიონერული ქალაქის მშენებლები ცალცალკე ან ბრიგადასთან ერთად ასრულებდნენ მთავარი სამმართველოს სხვადასხვა დავალებებს.

მთავარი სამმართველო ნორჩ მშენებლებს უგზავნიდა ქულების აღმრიცხველ ვარსკვლავებს, იმის მიხედვით, თუ როგორ იყო შესრულებული დავალება. გამარჯვება კი ქულათა რაოდენობაზე იყო დამოკიდებული. გამარჯვებულებმა მიიღეს სამკერდე ნიშანი „პიონერული ქალაქის მშენებელი" და პიონერულ ქალაქში გამგზავრების საგზური. აი სწორედ ეს გამარჯვებული პიონერები „აშენებენ" ქალაქ მზიანეთს. მაგრამ მისი მშენებლობა უფრო ადრე დაიწყო...

მზიანეთს „აშენებდნენ" თბილისსა და ქუთაისში, თელავსა და ბათუმში, გორსა და სოხუმში, ახმეტასა და ხაშურში, საქართველოს ყველა ქალაქსა და სოფელში „აშენებდნენ" თავიანთი კარგი პიონერული საქმეებითა და სწავლით.

თვრამეტი ათასი ბავშვი იბრძოდა გამარჯვებისათვის, თვრამეტი ათასი ბავშვი ოცნებობდა გამხდარიყო თავისი „აშენებული" ქალაქის მცხოვრები, მიეღო „მზიანეთის" პასპორტი. საუკეთესოთა შორის საუკეთესოებმა მართლაც მიიღეს „მზიანეთის პასპორტი" და 10 აგვისტოს ჟრიამულითა და სიმღერით მიადგნენ ძველი ნეძვის მზემოფენილ სანახებს. აქ ისინი ორ კვირას იცხოვრებენ და კიდევ უფრო გაიღრმავებენ ამ პიონერული თამაშის პირველ ეტაპზე მიღებულ ცოდნას...

მზიანეთს აქვს თავისი რადიოკვანძი, გაზეთი „მზიანეთი", საზაფხულო თეატრი, სასტუმრო „მესხეთი", მუზეუმი, ზოოპარკი, საგამოფენო დარბაზი, სახანძრო დაცვა, სასწრაფო დახმარება და, რაც მთავარია, ქალაქის საბჭო... „ქალაქი" სამ უბნად არის გაყოფილი. ყველა უბანში ელექტროსინათლეა და ტელეფონი მუშაობს.

მზიანეთლებმა მთელ საქართველოში დაგზავნეს მოსაწვევი ბარათები და 12 აგვისტოს ქალაქის გახსნაზე მიიწვიეს მრავალი სტუმარი. თუმცა მარტო საქართველოს სხვადასხვა კუთხიდან კი არა, უკრაინიდან, სომხეთიდან და აზერბაიჯანიდანაც ჩამოვიდნენ სტუმრები და საჩუქრებიც ჩამოიტანეს. მზიანეთის გახსნაზე დიდძალმა ხალხმა მოიყარა თავი. ამ დღეს გამოვიდა გაზეთ „მზიანეთის" პირველი ნომერიც, რომელიც მკითხველებს ატყობინებდა:

ეს ლამაზი სახელი ჩვენს ქალაქს ხაშურის მეორე სკოლის ნორჩმა მშენებლებმა შეარქვეს.

მზიანეთში 500 ნორჩი მცხოვრებია.

ყოველ მზიანეთელს შეუძლია გახდეს პიონერ-ინსტრუქტორი.

ტექნიკის განყოფილებაში მუშაობს ნორჩ კინომატოგრაფისტთა ჯგუფი, რომელიც იღებს დოკუმენტურ ფილმს „მზიანეთს".

... ქალაქის გახსნისადმი მიძღვნილი ზეიმი გვიან საღამომდე გაგრძელდა. მზიანეთლებს გულთბილად მიესალმნენ უკრაინელი, სომეხი და აზერბაიჯანელი პიონერები ვ. რუკასი, ქ. სარქისიანი, ბ. ჰუსეინოვა. ქალაქის გახსნას მრავალ სტუმართან ერთად ესწრებოდა საქართველოს ალკკ ცენტრალური კომიტეტის მდივანი თ. მენთეშაშვილი, რომელიც საპატიო სტუმრად აირჩიეს მზიანეთლებმა.

დიდხანს ისმოდა ცაში აჭრილი მერცხალივით ლაღი სიმღერა და თითქოს თვით ცათაწვდილი მთებიც გუგუნებდნენ:

„იძლიეროს სახელმა,
თქვენ რომ ერთად შეგყარათ!
თქვენზე ზრუნავს სამშობლო,
თქვენზე ზრუნავს ქვეყანა,
თქვენ გიტოვებთ მომავალს,
თქვენ გიტოვებთ გაზაფხულს...
გასწით,
გაჰყვეთ
შარაგზას
მამებისგან გაწალდულს!"

ქალაქობანას თამაში გრძელდება...

გ. გოგიაშვილი.



* * *

სურათებზე: 1. „ქალაქი" მზიანეთი საზეიმოდ გაიხსნა. პიონერები დიდი თაღიანი ჭიშკრით შედიან ქალაქში.

2. (მარცხნიდან) ერევნის ხ. აბოვიანის სახელობის მეორე საშუალო სკოლის მოსწავლე რ. ბაბიანი, მახარაძის რაიონის სოფელ ბახვის სკოლის მერვეკლასელი დ. გიგინეიშვილი და ზაპოროჟიეს მეორმოცე სკოლის მეშვიდე კლასის მოსწავლე ა. კოზლოვა მზიანეთის ზოოპარკის წინ.

ფოტო ხ. ონანოვისა
(საქდესის ფოტოქრონიკა).

ყოველი მხრიდან

გადავაქციოთ ბალკანეთი მშვიდობის ზონად

ტირანა, 11 აგვისტო. (საკდესი). ალბანეთის სახალხო რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარემ მეჰმეთ შეჰუმ ბულგარეთის გაზეთების რედაქტორებთან ინტერვიუში განაცხადა, რომ ალბანეთის მთავრობა აკეთებს ყოველივე შესაძლებელს, რომ გადააქციოს ბალკანეთისა და ადრიატიკის რაიონი ატომური და რაკეტული იარაღისაგან თავისუფალ მშვიდობის ზონად. ამჟამად ყველა დაინტერესებული სახელმწიფოს ყველაზე საარსებო ამოცანაა, ხაზგასმით აღნიშნა მეჰმეთ შეჰუმ, მათი ღონისძიებების გაერთიანება ატომური ომის საფრთხის აღსაკვეთად ბალკანეთზე და ადრიატიკაში. ალბანეთის მთავრობა მიესალმა და მხარი დაუჭირა წინადადებებს, რომლებიც წამოაყენა სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარემ ნ. ხრუშჩოვმა ბალკანეთზე და ადრიატიკაში მშვიდობის ზონის შექმნის შესახებ, აგრეთვე საბჭოთა მთავრობის განცხადებას ბალკანეთისა და ადრიატიკის გადაქცევის შესახებ ატომური და რაკეტული იარაღისაგან თავისუფალ რაიონად, მიაჩნია რა საბჭოთა მთავრობის ეს ინიციატივა ახალ უმნიშვნელოვანეს ღონისძიებად, რომლის მიზანია საერთაშორისო დაძაბულობის შენელება და მშვიდობის უზრუნველყოფა. ალბანეთის სახალხო რესპუბლიკის მთავრობამ მხარი დაუჭირა აგრეთვე რუმინეთის სახალხო რესპუბლიკის წინადადებას, რომ მოეწყოს ბალკანეთის სახელმწიფოთა მთავრობების მეთაურთა თათბირი, რათა მიღწეულ იქნას კოლექტიური შეთანხმება ამ რაიონის მშვიდობის უზრუნველყოფის შესახებ და დაიდოს ხელშეკრულება ურთიერთგაგებისა და კოლექტიური უშიშროების შესახებ.

მეჰმეთ შეჰუმ შემდეგ ხაზგასმით აღნიშნა, რომ, რამდენადაც ზოგიერთი ქვეყნის მთავრობები იწყნარებენ თავიანთ ტერიტორიებზე რაკეტული დანადგარების მშენებლობას, ალბანეთის მთავრობამ განაცხადა, რომ ეროვნული დამოუკიდებლობისა და სუვერენიტეტის დაცვის ინტერესებისათვის იგი იძულებულ იქნება მიიღოს შესაბამისი ღონისძიებანი, რათა აღმოფხვრას საფრთხე, რომელიც იქმნება.

ჩილის საგარეო საქმეთა მინისტრის განცხადება

ბუენოს-აირესი, 12 აგვისტო. (საკდესი). გაზეთ „ელ სიგლოს" ცნობით, ჩილის საგარეო საქმეთა მინისტრმა ვერგარა დონოსომ ჟურნალისტებს განუცხადა: „ჩილის მთავრობა სერიოზულად სწავლობს საბჭოთა კავშირთან და სხვა სოციალისტურ ქვეყნებთან დიპლომატიური და სავაჭრო ურთიერთობის აღდგენის საკითხს".

ამ ქვეყნებთან ურთიერთობის აღდგენას მხარი დაუჭირა სენატორმა ანჰელ ფაივოვიჩმა. მან ხაზგასმით აღნიშნა, რომ „ურთიერთობის აღდგენა სოციალისტურ ბანაკთან გარდუვალია" და განაცხადა, რომ ამ საკითხზე იგი ესაუბრა რესპუბლიკის პრეზიდენტს და საგარეო საქმეთა მინისტრს, რომლებიც, როგორც მან აღნიშნა, სერიოზულად ეკიდებიან ამ პრობლემას.

სერიოზული გაფრთხილება

კაირო, 12 აგვისტო. (საკდესი). კომენტარს უკეთებს რა გადაწყვეტილებებს, რომლებიც მიიღო აფრიკის ცხრა დამოუკიდებელი ქვეყნის კონფერენციამ მონროვიაში, გაზეთი „ალ-გუმჰურია" წერს: „აფრიკის დამოუკიდებელი ქვეყნების კონფერენციის გადაწყვეტილებანი წარმოადგენენ სერიოზულ გაფრთხილებას კოლონიზატორებისადმი. ეს გადაწყვეტილებანი გამოხატავენ აფრიკის ხალხებისა და მათი ძალის სოლიდარობას. გადაწყვეტილებანი მიზნად ისახავენ კოლონიალიზმისა და მისი შედეგების ლიკვიდაციას".

გაზეთი აღნიშნავს, რომ მრავალი პრობლემა, რომელსაც განიხილავდა კონფერენცია ალჟირის პრობლემასთან ერთად, „მოწმობს, რომ სავსებით გამოილევა აფრიკის ხალხთა კოლექტიურმა შეგნებამ ტრაგედიის წინაშე, რომელშიც ჩათრეულია აფრიკა კოლონიური ბატონობის შედეგად".

„აფრიკის ხალხებმა, — ხაზგასმით აღნიშნავს „ალ-გუმჰურია", გადაჭრით დაგმეს ყოველგვარი ცდა გამოიყენონ საჰარა ან აფრიკის რომელიმე სხვა რაიონი ატომური იარაღის გამოცდისათვის".

ინგლისის ჯარების აგრესიული მოქმედება

დამასკო, 12 აგვისტო. (საკდესი). ომანის იმამის წარმომადგენელმა დამასკოში განაცხადა, რომ გრძელდება ინგლისის ჯარების აგრესიული მოქმედება ომანში.

ამას წინათ, განაცხადა წარმომადგენელმა, ინგლისის ჯარებმა რაკეტების და არტილერიის ცეცხლი დაუშინეს ომანის სოფელ ირაკის. სოფელი მთლიანად დანგრეულია. მოკლულია სამოცდასამი მშვიდობიანი მცხოვრები, მათ შორის მოხუცები, ქალები და ბავშვები.

ამას წინათ ომანში ჩავიდნენ ინგლისის ქვეგანაყოფები ათას ორასი კაცის რაოდენობით. უკანასკნელ ხანს ინგლისელებმა ომანში სულ გადასხეს ექვსი ათასი ჯარისკაცი და ოფიცერი.

იაპონიის შეიარაღების გეგმები

ტოკიო, 12 აგვისტო. საკდესის კორესპონდენტი გ. სკობლევი იუწყება: იაპონიის მთავრობის მიერ ეგრეთწოდებული გრძელვადიანი თავდაცვითი გეგმის გამოქვეყნებამ, რომლის მიხედვითაც გათვალისწინებულია იაპონიის ჯარების აღჭურვა უდრესად თანამედროვე სახეობათა იარაღით, მათ შორის მართული ყუმბარებით, იაპონიის მონოპოლიების საქმიანობის აქტივიზაცია გამოიწვია. როგორც გაზეთი „იომიური" იუწყება, იაპონიის უდიდესმა კომპანიებმა, მათ შორის „მიცუბისიმ", უკვე შეიმუშავეს ყველა სახეობის იარაღის წარმოების გეგმები.

ამა წლის ბოლოს ამერიკის შეერთებულ შტატებში, დასავლეთ გერმანიასა და დასავლეთის სხვა ქვეყნებში გაიგზავნებიან სამხედრო მისიები მართული ყუმბარების წარმოების შესასწავლად. თავის მხრივ ეროვნული თავდაცვის სამმართველო გეგმავს შეიქმნას მართული ყუმბარების რამდენიმე ქვეგანაყოფი.

საბრძოლო ძლიერება იაპონიის თავდაცვის ძალებისა, რომლებიც 9 წლის წინათ შეიქმნა ამერიკის საოკუპაციო ძალების სარდლის გენერალ მაკარტურის ბრძანებით, ახლა, სამხედრო მიმომხილველ ტაკახასის მიერ გამოქვეყნებული ცნობებით მის წიგნში „ომი მართული ყუმბარების საუკუნეში და იაპონიის თავდაცვის ძალები", 20-ჯერ აღემატება იაპონიის ყოფილი საიმპერატორო არმიის საბრძოლო ძლიერებას.

ახლანდელ ვითარებაში, წერს ტაკახასი თავის წიგნში, იაპონიის თავდაცვის ძალების შეიარაღება მართული ყუმბარებით, აგრეთვე იაპონიის ტერიტორიაზე ამერიკის სამხედრო ბაზების არსებობა არავითარ შემთხვევაში არ შეესაბამება იაპონელი ხალხის ინტერესებს, ჩვენი ქვეყნის უშიშროების ინტერესებს.

ერთადერთი გზა, რომელიც უზრუნველყოფს იაპონიისა და იაპონელი ხალხის უშიშროებას, არის ნეიტრალიტეტის გზა. ჩვენ უნდა ვიცოდეთ, აცხადებს იგი ამ წიგნში, რომ ბრძოლა იაპონიის ნეიტრალიტეტისათვის არის ბრძოლა ჩვენი მიწაწყლის განთავისუფლებისათვის, ბრძოლა ატომური მოსპობის საფრთხისაგან ერის განთავისუფლებისათვის, ბრძოლა მშვიდობიანი იაპონიის მომავლისათვის.

ჯარისკაცის მამაცობა

არმიაში გაწვევამდე რიგითი ჯარისკაცი ვალერიან ხორგუაშვილი ტრაქტორისტად მუშაობდა კასპის რაიონის სოფელ დოისში. ამ დღეებში მან თავი გამოიჩინა როგორც მამაცმა ადამიანმა.

ამას წინათ ვალერიანი იმყოფებოდა წყალშემკრებ არხთან, რომლის სიგანე 7 მეტრია, სიღრმე კი 3 მეტრი. უცებ ბავშვის ყვირილი გაიგონა, და არხთან მიირბინა. შიგ ბავშვი დაინახა. იხრჩობოდა ოთხი წლის იგორ პონომარიოვი. ჯარისკაცი წუთითაც არ შეყოყმანებულა, ტანსაცმლიანად გადაეშვა წყალში და ამოიყვანა ბიჭი. ვ. ხორგუაშვილს გამოეცხადა მადლობა, იგი დააჯილდოვეს სიგელით.

მაიორი შელუდჩენკო.

კრასნოდარის მხარე.

უცხოეთის ქრონიკა

⊙ 11 აგვისტოს ინგლისის სამხრეთ სანაპიროზე ძლიერი წვიმა მოვიდა, რამაც წყალდიდობა გამოიწვია მთელ რიგ დასახლებულ პუნქტებში. ნიუბერის ახლოს ზოგიერთი გზატკეცილი თითქმის მეტრზე დაფარული წყლით. ქალაქში გამავალი რკინიგზის ლიანდაგი აგრეთვე დაფარულია წყლით, რის გამო დაირღვა მატარებლების მოძრაობა. წყალდიდობის შედეგად, რომელიც ერთ-ერთი ყველაზე ძლიერია ამ უკანასკნელ წლებში, წყალმა დაფარა სახლების სარდაფის სართულები ბერკშირის საგრაფოს რამდენიმე დასახლებულ პუნქტში.

⊙ როგორც როიტერის სააგენტო ტურინოდან იუწყება, იტალიის ხელისუფლებმა უარი უთხრეს ვიზებზე ჩინეთის სახალხო რესპუბლიკისა და კორეის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკის სპორტულ გუნდებს, რომლებსაც მონაწილეობა უნდა მიეღოთ სტუდენტთა მომავალ მსოფლიო ასპარეზობაში ტურინოში.

⊙ როგორც ტუნისის ინფორმაციის საკითხთა სტატს-სამდივნოს კომუნიკედან ჩანს, საფრანგეთის ჯარების ქვეგანაყოფმა ალჟირში 10 აგვისტოს საღამოს არტილერიის ცეცხლი დაუშინა სამხედრო პოსტს ბუ უაბდურში.

⊙ როგორც ფუკუოკიდან იუწყებიან, 11 აგვისტოს სოფელ ოკაგაკის ახლოს ზღვაში ჩავარდა ამერიკის რეაქტიული თვითმფრინავი ასიას სამხედრო-საჰაერო ბაზიდან. იმავე დღეს ამერიკის შეერთებული შტატების სამხედრო-საჰაერო ძალების მეორე რეაქტიული თვითმფრინავი დაიმსხვრა ათმორის პრეფექტურაში, იაპონიის ჩრდილოეთ ნაწილში. იგი ჩამოვარდა ქალაქ ნისაკის გარეუბანში. კატასტროფის დროს მძიმედ დაშავდა რვა წლის იაპონელი ბიჭი.

12 აგვისტო. (საკდესი).

თბილისის თეატრებსა და კინოებში

14 აგვისტო

ფილარმონიის საზაფხულო — საესტრადო მიმოხილვა — „ჩვენი მხიარული თანამგზავრი" (დასაწყისი საღამოს 9 საათზე).

* * *

რუსთაველის სახელობის, ამირანი, ფილარმონიის ბაღი, ისანი, (საზამთრო), პლეხანოვის სახელობის კლუბი, ჭავჭავაძის სახელობის კლუბი, ვაკის პარკი — უცხო ქალიშვილი დაბაში, ამირანი (საზაფხულო), სპარტაკი, კოლხიდა (საზაფხულო), ორჯონიკიძის სახელობის კულტურისა და დასვენების ცენტრალური პარკი, კომუნარების ბაღი, საქართველო (მწვანე დარბაზი) — ვნებათა ყური, ისანი (საზაფხულო) — ჩემი ქალიშვილი, თბილისი — ქალიშვილი შავებში, კომკავშირელი — ქურდბაცაცა კაჭკაჭი, 26 კომისრის სახელობის (პირველი დარბაზი) — სიყვარული და ცრემლები, 26 კომისრის სახელობის (მეორე დარბაზი) — სამოთხის ჩიტები, 26 კომისრის სახელობის (საზაფხულო) — საქმრო ლაურასათვის, საქართველო (წითელი დარბაზი) — ქუჩის სერენადა, საქართველო (საზაფხულო) — მოგზაურობა სამ ზღვას იქით, გორკის სახელობის კულტურის სახლი (საზამთრო) — ფანფან ტულპანი, გორკის სახელობის კულტურის სახლი (საზაფხულო) — მფრინავენ წეროები, ძერჟინსკის სახელობის კლუბი (საზამთრო) — სიმღერა პირველი სიყვარულისა, ძერჟინსკის სახელობის კლუბი (საზაფხულო), სტალინის სახელობის კულტურისა და დასვენების პარკი — ქარზე სწრაფი, ოფიცერთა სახლი — ბერლინის რომანი, კოლმეურნე — მამლუქი, დიდუბე (საზამთრო) — ჩვენი დღეების ამბავი, დიდუბე (საზაფხულო) — ვინ არის?, ყაზბეგი — ქუჩა სავსეა მოულოდნელობით, კიროვის სახელობის პარკი — პეტერი, თანამგზავრი — ალყაშემორტყმულ ციხე-სიმაგრეში.

ტელევიზია

14 აგვისტო

18.15 — საბჭოთა კავშირის პირველობა ფეხბურთში „ა" კლასის გუნდებს შორის. ერთმანეთს ხვდებიან თბილისის „დინამო" და კიშინიოვის „მოლდოვა". რეპორტაჟი თბილისის „დინამოს" სტადიონიდან, 20.00 — კინოჟურნალი, 20.10 — სახალხო-დემოკრატიული ქვეყნების ჟურნალების ფურცლებზე, 20.25 — კინონარკვევი, 20.45 — იუგოსლავიური მხატვრული ფილმი „დადევნება".

რედაქციისა და გამომცემლობის მისამართი: თბილისი, ლენინის ქ. № 14. ტელეფონები: რედაქტორის — 3-62-26, რედაქტორის მოადგილეების — 3-63-03, 3-82-05, 3-32-46, პასუხისმგებელი მდივნის — 3-72-80, სამდივნოს — 3-81-65, განყოფილებებისა: პარტიული ცხოვრების და მარქსისტულ-ლენინური თეორიის პროპაგანდის — 3-81-84, მრეწველობისა და ტრანსპორტის, ადგილობრივი ინფორმაციის — 3-16-90, სოფლის მეურნეობის — 3-20-43, მეცნიერების, უმაღლესი და საშუალო სკოლების, ლიტერატურისა და ხელოვნების — 3-80-84, საბჭოთა მშენებლობის — 3-57-61, უცხოეთის ინფორმაციის — 3-80-83, წერილებისა და პარტბიუროსი — 3-73-24, საილუსტრაციო — 3-08-67, განცხადებების მიღების — 3-64-42, გამომშვების — 3-06-88.

უე 01927

საქართველოს კპ ც. კ-ის გამომცემლობის პოლიგრაფიული კომბინატი „კომუნისტი", ლენინის ქ. № 14.